პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1 ივნისი შაბათი 1968

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 48-ე წელი • № 126 (14122)

ეროვნული ბიბლიოთეკა

1 ივნისს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეა

ჩვენი ქვეყნის ყვავილები

ფოტო ს. კილაძისა.

მეცხრამეტე აღინიშნება ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე. ადამიანებს სურთ, რომ ჩვენი კლანების ყოველ კუთხეში იყოს მშვიდობა, რომ არ განმეორდეს ოსვენციმისა და მაიდანეკის, ბუხენვალდისა და ხიროსიმის ტრაგედია, რომ აღარ იყოს დაბომბვა ვიეტნამში და გოლო მოიელოს ამერიკის ბარბაროსულ აგრესიას. ადამიანებს სურთ, რომ ბავშვებს ჰქონდეთ ბედნიერება, სიხარული, რომ ცა მუდამ მოფენდნილი იყოს, რომ ნორჩი თაობა მშვიდობიან კიროობებში იზრდებოდეს, სწავლობდეს, თამაშობდეს.

ჯერ კიდევ 1959 წელს მიილო ბავშვის უფლებათა დეკლარაცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ. ამ დეკლარაციამ საზეიმოდ გამოაცხადა, რომ მსოფლიოს ყველა ბავშვს აქვს უფლება სარგებლობდეს სოციალური უზრუნველყოფის სიკეთით, მიიღოს განათლება, დაცულ იქნას ექსპლოატაციისაგან, იზრდებოდეს ხალხთა შორის მეგობრობის სულისკვეთებით.

ბედნიერი არიან საბჭოთა ბავშვები, სოციალისტური ქვეყნების ბავშვები. ლაღია მათი ცხოვრება, კიდევ უკეთესია მომავალი.

ამასვე უსურვებენ ლენინური ზრუნვით გარემოსილი, პარტიისა და მთავრობის მშობლიური სიყვარულით გულგამთბარი ბავშვები მთელი მსოფლიოს ჩაგრულთა უფლებას.

ნორჩი თაობა უნდა ხარობდეს!

მშვიდობა მთელი მსოფლიოს ბავშვებს!

მთელი მსოფლიოს ნორჩი თაობის ბედნიერებისათვის

ჩვენს ქვეყანაში — დიდი ოქტომბრის საშობლოში — ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ ბავშვები ჯანმრთელნი და ბედნიერნი იზრდებოდნენ. თუ როგორ მონაწილეობს საბჭოთა კავშირი მთელი მსოფლიოს მშვიდობის დაცვაში, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობებისათვის ბრძოლაში, თუ რა ზრუნვით, ყურადღებითა და სიყვარულით არიან გარემოსილნი ჩვენ ბავშვები, ამის შესახებ საკდისის კორესპონდენტებთან საუბარში ილაპარაკეს:

ზ. ტ. ფიოდოროვამ,

საბჭოთა კავშირის ქალთა კომიტეტის პასუხისმგებელმა მდივანმა

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე დაწესდა ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის ინიციატივით 1949 წლის ნოემბერში და ამის შემდეგ 1 ივნისი გახდა ომის ძალების წინააღმდეგ ბრძოლის დღე, ბავშვების სიხარულისა და ბედნიერებისათვის ბრძოლის დღე.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ ჯერ კიდევ 1959 წელს ერთხმად დაამტკიცა ბავშვის უფლებათა დეკლარაცია. მაგრამ დედამიწის ყველა ქვეყანაში ხორციელდება დეკლარაციის კეთილშობილური პრინციპები? არა, სამწუხაროდ, ყველგან არა. ყოველდღიურად მსოფლიოში იბადება 180 ათასი ბავშვი, მაგრამ მათგან 40 ათასი რამდენიმე საათის შემდეგ იხოცება, მსოფლიოში მილიარდი ბავშვია, მათგან 600 მილიონი იტანჯება შიმშილითა და ავადმყოფობით.

გამოხატავენ რა თავიანთ მხურვალე სოლიდარობას ვიეტნამელი დებისადმი, საბჭოთა კავშირის ქალები მოითხოვენ ამერიკის აგრესის შეწყვეტას. საბჭოთა კავშირის ქალთა კომიტეტი განუწყვეტლივ უწევს მატერიალურ დახმარებას ვიეტნამელ ქალებს, და ჩვენ კვლავაც დაეხმარებით მათ.

ბავშვთა დაცვის დღეს საბჭოთა ქალები თავიანთ სოლიდარობას უცხადებენ აფრეთვე ლაოსის; კამბოჯის, აფრიკისა და სხვა ქვეყნების ხალხებს, რომლებიც თავიანთი დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის იბრძვიან.

საბჭოთა ქალები აქტიურად მონაწილეობენ ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის ყველა ღონისძიებაში ქალებისა და ბავშვების უფლებათა დასაცავად. ახლა ისინი ენერგიულად ემზადებიან ჰელსინკის კონგრესისათვის.

ტ. ა. კუცენკომ,

სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა

„პიონერი ყველა ქვეყნის ბავშვებთან მეგობრობს“ — ჩაწერილია „საბჭოთა კავშირის ნორჩ პიონერთა კანონებში“. ეს სიტყვები ახლობელია თვითეული ნორჩი მოქალაქისათვის. სულ რამდენიმე დღის წინათ საბჭოთა ქვეყანა, ჩვენი საზღვარგარეთელი მეგობრები მოწმენი იყვნენ, თუ რა მხურვალე, გულწრფელი სოლიდარობა გამოუცხადეს ჩვენმა პიონერებმა თავიანთ ვიეტნამელ თანატოლებს. საბჭოთა ბავშვებმა საჩუქრებით დატვირთული ორი ხომალდი გაგზავნეს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის შორეული ნაპირებისაკენ.

ლენინური კომკავშირი — ნორჩ ლენინელთა უფროსი ხელმძღვანელი ბევრ რამეს აკეთებს ოქტომბრელებისა და პიონერების ინტერნაციონალური აღზრდისათვის. მალე საბჭოთა ბავშვები „მეგობრობის“ მატარებლით გაემგზავრებიან გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ხოლო ჩვენთან მატარებლით ჩამოვლენ ნორჩი ტელმანელები. ჩვენი ქვეყნის პიონერები მასპინძლობას გაუწევენ ბულგარეთიდან, უნგრეთიდან, ჩეხოსლოვაკიიდან ჩამოსულ თანატოლებს. იუგოსლავიაში გაემგზავრებიან ჩვენი ნორჩი ტექნიკოსები.

ზაფხულში ესტონეთში აფრიალდება ბალტიის ზღვის ქვეყნების საერთაშორისო ბავშვთა ბანაკის ალამი. აქ საბჭოთა მოსწავლეების სტუმრები იქნებიან ფინელი, გერმანელი და პოლონელი ბავშვები. მაგრამ მეგობრობის ყველაზე დიდი კოცონები აგზგიზდება არტეკში. სრულიად საკავშირო პიონერთა რესპუბლიკაში — ჯანმრთელობის კერაში ივლისში გაიხსნება საერთაშორისო ბანაკი.

ტ. ნ. ნიკოლაევამ,

საკავშირო პროფსაბჭოს მდივანმა

დაბასსხმლებ სამ ციფრს: 8,5 ათასი ქალაქგარე პროფკავშირული ბანაკი, რომლებშიც დაისვენა 6 მილიონ 300 ათასმა მოსწავლემ, 115 ათასზე მეტი ბავშვი, რომლებმაც დაისვენეს სპეციალურ სანატორიუმებში. ეს შარშანდელი მონაცემებია. საბჭოთა ბავშვების საზაფხულო დასვენების „სტატისტიკა“ 1968 წელს კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იქნება. არდადეგების დაწყებისათვის დამთავრდა ბევრი ახალი ბანაკისა და სპორტული მოედნის მშენებლობა. დასახულია ბავშვების გამაჯანსაღებელი მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებანი.

ცნება „ჯანმრთელობაში“ ფართო აზრს ვაქცევთ. მხედველობაში გვაქვს აგრეთვე ზნეობრივი ჯანმრთელობა, მოზარდი ცვლის აღზრდა კომუნისტური სულისკვეთებით.

პიონერთა საკავშირო გვაუწყებენ დიდ საინტერესო ზაფხულს. დიდებმა იზრუნეს, რათა პიონერებმა და მოსწავლეებმა კარგად დაისვენონ. (საკდესი).

დაე მუდამ იყოს მზე

31 მაისს ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეში გაიმართა ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი თბილისის **საზოგადოებრიობის** წარმომადგენელთა კრება.

პრეზიდიუმის მაგიდას უსხედან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ვ. ხარაძე,** რესპუბლიკის უმაღლესი **საბჭოს პრეზიდიუმის** მდივანი **ზ. კვაჭაძე,** თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის **მოადგილე გ. გოშაძე,** რესპუბლიკის **განათლების** მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი,** პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

კრება შესავალი სიტყვით გახსნა ყურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქტორმა **მ. ბარათაშვილმა.**

კრებაზე გამოვიდნენ ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი **პროფესორი თ. მრევლიშვილი,** თბილისის 29-ე საშუალო სკოლის პიდაგოგი **ე. კობიაშვილი,** სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი **ნ. კოსტენკო,** პედიატრიის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **პროფესორი ი. ფალავა,** ახალგაზრდა დიდი ლ. **მასხულია,** პოეტი **ნ. კილასონია.**

შერჩევით გულთბილად მიესალმნენ პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის აღსაზრდელები. (საკდესი).



რკინიგზელთა შეჯიბრების შედეგები

ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ და რკინიგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტმა შეაჯამეს მაგისტრალის საწარმოთა და ორგანიზაციათა სოციალისტური შეჯიბრების 1968 წლის აპრილის შედეგები.

პირველი ადგილი მიენიჭა რკინიგზის სამტრედიის განყოფილების კოლექტივს. შეჯიბრების ყველა პირობის შესრულებისა და სახალხო-სამეურნეო ტვირთის დატვირთვისა და მიწოდების შემდგომი გადიდების უზრუნველყოფისათვის.

პირველი ადგილი მოიპოვეს აგრეთვე თბილისის სამგზავრო და ქუთაისის II სადგურების, ზესტაფონისა და ლენინაკანის ვაგზლების, სამტრედიის დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა მექანიზებული დისტანციის, ქუთაისის სალოკომოტივო და ხაშურის სავაგონო დეპოების, თბილისისა და ნავთლუღის სალიანდაგო დისტანციების, თბილისის ენერგომომარაგების უბნის, ხაშურის სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის დისტანციის, მექანიზებული აღრიცხვის ფაბრიკის, ხაშურის სამოქალაქო ნაგებობათა დისტანციისა და ბზიფის ღორღის ქარხნის კოლექტივებმა.

მეორე ადგილები მოიპოვეს სამტრედიის სავაგონო დეპოს, ხაშურის ენერგომომარაგების უბნის, გურჯაანის სალიანდაგო დისტანციის, ერევნის დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა მექანიზებული დისტანციის, სოხუმის სამოქალაქო ნაგებობათა დისტანციის კოლექტივებმა და სხვ. (საკდესი).

წითელი დროშა — ეროვნიანეს განყოფილებას

სამტრედია, 31 მაისი. (საკდესი). აქ ოქტომბრის რევოლუციის სახელობის სახალხო თეატრში შეიკრიბნენ ამიერკავკასიის მაგისტრალის სამტრედიის განყოფილების რკინიგზელთა მრავალათასიანი კოლექტივის წარმომადგენლები. ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოსა და რკინიგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა გადასცეს მიმდინარე წლის პირველი კვარტალის შედეგების მიხედვით სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ განყოფილებას.

გარდამავალი წითელი დროშა სამტრედიის განყოფილების უფროსს ლ. ვარდოსანიძეს გადასცა ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსმა გ. ქადაგიძემ. (საკდესი).

სუთწლედი — ვადამდე!

გამარჯვებული საწარმოები

მიმდინარე წლის პირველ კვარტალში რესპუბლიკის კვების მრეწველობის საწარმოთა უმრავლესობამ სამშობლოს უპატაკა სახელმწიფო გეგმების ვადამდე შესრულება. პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით დაზოგილია ასეულ-ათასობით პანეთი, გეგმის გადაჭარბებით გამოშვებულია ბევრი სხვადასხვა საქონელი.

შეჯამდა პირველი კვარტალის რესპუბლიკური შეჯიბრების შედეგები. გამარჯვებულებმა — თბილისის საწარმოთა კოლექტივებმა — მარმელადის ფაბრიკის, № 5 პურის ქარხნის, სამტრესტის საწარმო კომბინატის, საკონდიტრო კომბინატის, № 3 ღვინის ქარხნისა და ბორჯომის ჩამოსასხმელი ქარხნის კოლექტივებმა დაიმსახურეს საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროსა და საქართველოს კვების მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშები, აგრეთვე პირველი ფულადი პრემიები.

მეორე ფულადი პრემიები მიიღეს თბილისის № 3 პურის ქარხნის, ლიქიორის ქარხნის, შამპანური ღვინოების ქარხნის, უალკოჰოლო სასმელებისა და ნახშირორჟანგის ქარხნის, № 1 თამბაქოს ფაბრიკის, № 6 პურის ქარხნის, ქუთაისის ლუდის ქარხნის კოლექტივებმა.

მესამე ფულადი პრემიები მიენიჭათ თბილისის ხილის წყლების ქარხნის, თბილისის № 3 ლუდის ქარხნის, ტრესტ „საქართველოს ჩაის“, სამტრედიის მექანიკური ქარხნის, სამტრესტის მოსკოვის ღვინის ქარხნის, სამტრედიის ჩაის საწნები ქარხნის კოლექტივებს.

ახალციხისა და სიღნაღის მთავარი ყველკარაქის ქარხნების, ახალციხის ხორცის კომბინატის კოლექტივები დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროსა და საქართველოს კვების მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშებითა და პირველი ფულადი პრემიებით.

მეორე ფულადი პრემიები მიენიჭათ ბორჯომის ხორცის კომბინატისა და თეთრიწყაროს პირუტყვის დამზადების რაიონული კანტორის კოლექტივებს.

მესამე ფულადი პრემიები მიიღეს წყალტუბოს ხორცის კომბინატისა და ზესტაფონის პირუტყვის დამზადების რაიონული კანტორის კოლექტივებმა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ხილისა და ბოსტნეულის დამზადების, გადამუშავებისა და რეალიზაციის სახელმწიფო კომიტეტის „საქკონსერვხილბოსტანის“ საწარმოთა და ორგანიზაციათა რესპუბლიკურ შეჯიბრებაში გაიმარჯვეს „თბილისმბოსტანეკონომბრობის“ ეიროვის რაიონაწყობილების, სამტრედიის საკონსერვო ქარხნისა და კასპის ხილის წვენებისა და ხილეკენკროვანი ღვინოების ქარხნის კოლექტივებმა. მათ მიენიჭათ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და რესპუბლიკის პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშები და პირველი ფულადი პრემიები. მეორე ფულადი პრემია დაიმსახურა ქარელის ხილის წვენებისა და ხილეკენკროვანი ღვინოების ქარხნის კოლექტივმა. (საკდესი).

გეგმა — ე დღით ადრე

ტყიბული. (საკ. კორ.). აქაური მეშახტეები, რომლებიც თავიანთ ტულელ თანამოსაქმეებს ეჯიბრებიან, მაღალნაყოფიერად შრომობენ ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის. ტყიბულ-ქვანახშირის ტრესტის კოლექტივმა (მმართველი ნ. კვინიხიძე, მთავარი ინჟინერი დ. დოგბორჯგინიძე) ვადაზე სამი დღით ადრე შეასრულა მიმდინარე წლის ხუთი თვის საკოქსე ქვანახშირის მოპოვების გეგმა. გეგმის გადაჭარბებით უკვე ამოღებულია ასობით ტონა „შავი ოქრო“.

ერთადერთი ევროპაში

ბათუმი. (საკ. კორ.). შორს გაითქვა სახელი ბათუმის კოფეინის ქარხნის პროდუქციამ. ახლა ეგი 18 სხვადასხვა უძველესეულ ნაწარეს უშვებს. ამ დღეებში კოფეინისა და კელინის დიდი პარტია გაიგზავნა ვიეტნამსა და პოლონეთში. ამჟამად ქარხანაში შენდება ნეროლინის, ალოესა და სხვა თხევადი პრეპარატების დიდი საამქრო, მშენებლობის დამთავრების შემდეგ თითქმის ორჯერ გაიზრდება ძვირფასი პრეპარატების გამოშვება.

გუშინ ჩაის პლანტაციებში

ბალის რაიონის მშრომელებმა ერთ დღეს მოკრიფეს 200 ტონა ფოთოლი, სეზონის დაწყებიდან — 6500 ტონაზე მეტი ფოთოლი.

გალელთა პირობაა მაისში მოკრიფონ წლიური გეგმის 40 პროცენტი, ბეგრმა კოლმეურნეობამ სიტყვა საქმედ აქცია. **სოფელ ჩხორთოლის ბარათაშვილის სახელობის** კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ა. გარგელია, პარტიიურის მდივანი ს. ქარცხია) მოკრიფა 217 ტონა ჩაის ნედლეული ნაცვლად მაისის გეგმით გათვალისწინებული 212 ტონისა და წლიური გეგმა შეასრულა 41,5 პროცენტით.

პირველი გალის საბჭოთა კონსტიტუციის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე გ. ცაცუა, პარტიიურის მდივანი კ. ეზუგბაია) მოკრიფა და ფაბრიკას გადასამუშავებლად ჩაბარა 101 ტონა ფოთოლი, რაც წლიური გეგმის 41 პროცენტს შეადგენს. ფოთლის კრეფის წლიური გეგმის 40-42 პროცენტი შეასრულეს აგრეთვე სოფელ წარჩენ (თავმჯდომარე გ. ზაქარია, პარტიიურის მდივანი ა. გურზმავა), ფიჩორის (თავმჯდომარე გ. ეფორია, პარტიიურის მდივანი შ. ფეტელავა) კოლმეურნეობებმა.

ბათუმის რაიონის მეჩაიეებმა მოკრიფეს 55 ტონა ფოთოლი. სეზონის დაწყებიდან მოკრეფილია 3.817 ტონა ჩაის ნედლეული, რაც მაის-ივნისის გეგმის 85 პროცენტს შეადგენს, ხოლო წლიურის — 42,5 პროცენტს.

სოფელ ხელვაჩაურის კოლმეურნეობის წევრმა **დ. თურმანიძემ** ერთ დღეს მოკრიფა 80 კილოგრამი ფოთოლი ნაცვლად 25 კილოგრამისა. ახალშენის კოლმეურნეობის მეჩაიემ **ბ. სურმანიძემ** — 70 კილოგრამი, სოფელ მეკონისწყალის კოლმეურნეობის წევრს **გ. მაჭარაშვილს** გეგმით ერთ დღეს უნდა მოეკრიფა 25 კილოგრამი ფოთოლი, ფაქტიურად მოკრიფა 65 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ნედლეული. ასეთივე წარმატებები აქვთ კოლმეურნეებს **ა. შარაშიძეს** და **ე. ბეჟანიძეს,** ხოლო წინსწავლის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა **მ. ჯორთმენაიძემ** ერთ დღეს მოკრიფა 50 კილოგრამი ფოთოლი და ამით დღიური ნორმა ორმაგად შეასრულა.

ნაუსტეგის რაიონის მშრომელებმა, მიუხედავად ჭირვეული ამინდისა, გუშინ მოკრიფეს 34 ტონაზე მეტი ფოთოლი. სულ სეზონის დაწყებიდან მოკრეფილია 1638 ტონა ჩაის ნედლეული, რაც მაის-ივნისის გეგმის 68,5 პროცენტს შეადგენს, წლიურის — 34,4 პროცენტს.

სოფელ ქვილიშორის კოლმეურნეობის წევრმა **ჟ. კუხალეიშვილმა** ერთ დღეს მოკრიფა 70 კილოგრამი ფოთოლი ნაცვლად 25 კილოგრამისა, გუმბრის კოლმეურნეობის მეჩაიემ **ოლია უმვერიძემ** — 75 კილოგრამი, ხოლო რეონის კოლმეურნეობის წევრმა **ა. ხუციძემ** ოკრიფა 65 კილოგრამი ფოთოლი და ამით დღიურ ნორმას 40 კილოგრამით გადააჭარბა.

ცხაკაიას რაიონში ერთ დღეს მოკრიფა 41,7 ტონა „მწვანე ოქრო“. სეზონის დაწყებიდან მოკრიფა და ფაბრიკებს გადასამუშავებლად ჩაბარდა 1.366 ტონაზე მეტი ჩაის ნედლეული.

გამოჩნდნენ მოწინავე მეჩაიეები. სოფელ უშაფთის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა **თ. გაბელიამ** დღეს მოკრიფა 80 კილოგრამი ფოთოლი და ამით დღიურ ნორმას 60 კილოგრამით გადააჭარბა. **დ. კორშიამ, შ. ქვარცხავამ, ტ. შეროზიამ, ც. გაბელიამ** თვითეულმა სამოც-სამოცი კილოგრამი ჩაის ნედლეული მოკრიფეს, ეკის კოლმეურნეობის წევრებმა **გ. ქვარცხავამ, ნ. ელიავამ, მ. ცხვიტარიამ, ლ. ჯოლიამ** სამოცდაათ-სამოც დაბუთი კილოგრამი ფოთოლი ნაცვლად 20 კილოგრამისა. ლეძაძამის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობის წევრმა **რ. ბარკალაიამ** მოკრიფა 80 კილოგრამი ხარისხოვანი „მწვანე ოქრო“ და ამით დღიურ გეგმას 60 კილოგრამით გადააჭარბა.

სამეცნიერო სესია მოსკოვში

31 მაისს მოსკოვში მუშაობას განაგრძობდა კარლ მარქსის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია. სესიის მონაწილენი — საბჭოთა მეცნიერები და საერთაშორისო მუშათა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწენი განიხილავენ მარქსიზმისა და მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის აქტუალურ პრობლემებს.

სხდომაზე პირველი მოხსენება „მარქსიზმი და მუშათა კლასის წამყვანი როლი ანტიიმპერიალისტურ ბრძოლაში“ გააკეთა ვენესუელის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა და ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ედუარდო გალეგოს მანსერამ. (საკდესის კორ.).

ადამიანი ჯანმრთელი რომ იყოს

დამთავრდა ფიზიოლოგთა საერთაშორისო სიმპოზიუმი

31 მაისს თბილისში მუშაობა დაამთავრა ფიზიოლოგთა საერთაშორისო სიმპოზიუმმა.

— სიმპოზიუმზე განიხილეს საკითხები, რომლებიც ხელს გვიწყობენ ჩაეწვდეთ გადიდებული დატვირთვით მომუშავე ორგანოებში სისხლის მოდინების ავტომატური შეგუების მექანიზმებს, — უთხრა საკდესის კორესპონდენტს საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ აკადემიკოსმა ვ. პარინმა, რომელმაც გააშუქა მეცნიერთა ფორუმის მუშაობა. — აქ აგრეთვე დეტალურად განვიხილეთ ექსპერიმენტის დროს და კლინიკურ პირობებში სისხლის მიმოქცევის დარღვევა. ყველა ამ პრობლემას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც თეორეტიკოსებისათვის, რომლებიც სწავლობენ სისხლმომარაგებისა და ტვინის ფუნქციის ურთიერთკავშირის ურთიერთს პროცესებს, ისე მედიკებისათვისაც, როგორ გულსისხლძარღვების სისტემის დაავადება დღეს № 1 მტერია. გულის არტერიების დაცობა იწვევს ინფარქტს, ტვინში კი — სისხლის ჩაქცევას და ავადმყოფისათვის მძიმე შედეგებს.

ამ პრობლემას განიხილავდა მთელი სიმპოზიუმი, მისი ყველა მონაწილე. უცხოელ მომხსენებელთა შორის უნდა აღინიშნოს პროფესორ ვ. ბინგის (აშშ) მოხსენება. მან წარმოადგინა ჯანმრთელ და ავადმყოფ ადამიანებზე დაკვირვების საინტერესო მასალები, ცხოველებზე მოწყობილი ექსპერიმენტები და მრავალი ბიოქიმიური გამოკვლევა. მეცნიერის მიერ მიღებული შედეგები საშუალებას გვაძლევს ახლებურად განვიხილოთ ინფარქტის შედეგებთან ორგანიზმის ბრძოლის ბუნებრივი მექანიზმები **და** დავსაზოთ დაავადების მკურნალობის ახალი გზები. პროფესორმა ა. ვოლენბერგერმა (გდრ) თავისი მოხსენება მიუძღვნა გულის კუნთის სისხლისგან დაცლილ ნაწილებში მიმდინარე ფერმენტაციული რეაქციების ცვლილებას.

საბჭოთა ნაშრომებიდან 'საინტერესოა პროფესორ ე. პლეჩკოვას (მოსკოვი) გამოკვლევანი. მან ჰისტოქიმიისა და ჰისტოლოგიის მეთოდებით გვიჩვენა ტვინისა და გულის სისხლის მიმოქცევის შეგუებაში ნერვული ფაქტორების როლი.

პროფესორმა მ. რაბინოვიჩმ (მოსკოვი) ყურადღება მიაპყრო სისხლისაგან დაცლილ ქსოვილებში იონური წონასწორობის ცვლილების საკითხებს. ეს ნამუშევრები ავითარებს ნერვიზმის ტრადიციულ რუსულ მიმართულებას ფიზიოლოგიაში.

ქართველმა მეცნიერებმა პროფესორებმა გ. მჭედლიშვილმა და ი. გიდევანიშვილმა წარმოადგინეს სერიოზული გამოკვლევანი, რომლებიც მოიწონეს სიმპოზიუმის მონაწილეებმა და რომლებიც საშუალებას გვაძლევენ გამოვიტანოთ დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის მთელი რიგი დასკვნები.

უცხოეთის ფირმების საერთაშორისო გამოფენაზე, რომელიც სიმპოზიუმის მუშაობის დღეებში გაიხსნა, წარმოდგენილია თანამედროვე საკვლევი აპარატურა სხვადასხვა ორგანოს ნივთიერებათა ცვლისა და ფუნქციების სისხლმომარაგების რეგისტრაციისათვის. გამოფენა 4 ივნისამდე გაგრძელდება. იგი მოაწყეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტმა და საბჭოთა კავშირის სავაჭრო პალატამ საქართველოს სავაჭრო პალატის ხელშეწყობით. (საქდესი).

მეგობრული მოლაპარაკება

ვიზიტი დამთავრდა

31 მაისს მოსკოვიდან სამშობლოში გაემგზავრა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობდა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ვ. ულბრიხტი.

ვნუკოვოს აეროდრომზე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაცია გააცილეს ამხანაგებმა ა. ნ. კოსიგინმა, კ. ტ. მაზუროვმა, ნ. ვ. პოდგორნიმ, დ. ს. პოლიანსკიმ, მ. ა. სუსლოვმა, პ. ნ. დემიჩევმა, ყ. ო. კატუშევმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა.

მოლაპარაკება სრული ერთსულოვნებისა და გულითადობის ვითარებაში მიმდინარეობდა.

ეროვნული ეკონომიკა

ბაკურიანი — ბაკურიანის ბალნეოლოგიური კურორტი. ... ...

მეცნიერებისა და ხალხის საამსახურო

ვ. ი. ლენინის ხელმოწერილი დეკრეტის „საარქივო საქმის რეორგანიზაციისა და ცენტრალიზაციის შესახებ“ გამოქვეყნების 50 წლისთავი

ორმოცდაათი წლის წინათ — 1918 წლის 1 ივნისს საბჭოთა სახელმწიფოს ფუძემდებლის ვ. ი. ლენინის ინიციატივითა და ხელისმოწერით გამოქვეყნდა საბჭოთა მთავრობის დეკრეტი „საარქივო საქმის რეორგანიზაციისა და ცენტრალიზაციის შესახებ“.

ამ დეკრეტით საფუძველი ჩაეყარა ჩვენს ქვეყანაში საარქივო საქმის სოციალისტური ორგანიზაციის საწყისებს, ბოლო მოეღო რევოლუციამდელ რუსეთში არქივების უწყვეტრივ დაქაოსულობას და ყოველი დოკუმენტური მასალა, მიუხედავად მისი წარმოშობისა, ხასიათისა და შინაარსისა, გამოცხადდა სახელმწიფო საკუთრებად, შეიქმნა დოკუმენტური მასალების ერთიანი სახელმწიფო საარქივო ფონდი და საარქივო დაწესებულებათა მწყობრი სისტემა.

სახელმწიფო საარქივო ფონდის და საარქივო დაწესებულებათა მართვისა და გამეგლობისათვის ჩამოყალიბდა მთავარი საარქივო სამმართველო, რომელსაც დაევალა საუკუნეთა განმავლობაში წარმოქმნილი დოკუმენტური მასალების თავმოყრა სახელმწიფო არქივებში, მათი დაცვის, მეცნიერული დამუშავებისა და გამოყენების ორგანიზაცია.

საბჭოთა მთავრობამ გამოსცა არა ერთი საკანონმდებლო აქტი საარქივო საქმის განვითარების ძირითად საპრობლემო საკითხებზე, რომლებიც გამომდინარეობდნენ 1918 წლის 1 ივნისის ლენინური დეკრეტიდან და წარმოადგენდნენ მის კონკრეტიზაციას და განვითარებას. ეს საკანონმდებლო აქტები მიზნად ისახავდნენ საარქივო საქმის ორგანიზაციის შემდგომ დაუმჯობესებას და დოკუმენტური მასალების სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის ინტერესებისათვის ფართოდ გამოყენებას.

რევოლუციამდელ საქართველოში არქივების ბედი საკალო იყო. ქართველი ხალხის გმირული წარსულის ამსახველი ფასდაუდებელი წერილობითი ძეგლების დიდი ნაწილი გარეშე მტრების შემოსევის დროს განადგურდა. ამ ძეგლების მხოლოდ მცირე ნაწილი, რომელიც უიანოდ დამპყრობთა ცეცხლსა და მახვილს გადაურჩა, შემოინახეს უმთავრესად ეკლესია-მონასტრებმა, სხვადასხვა საჭვლმოქმედო-საგანმანათლებლებმა და კერძო პირთა ოჯახებმა.

1801 წელს საქართველო რუსეთს შეიერთდა. რუსული მმართველობის დამკვიდრებასთან დაკავშირებით საქართველოში შეიქმნა სახელმწიფო აპარატის სამმართველო და ადგილობრივ წოდებულებათა თანთან ქსელი. მათი არსებობისა და საქმიანობის პროცესში — 1801-1917 წლებში წარმოიქმნა უამრავი საარქივო მასალა, რომელიც არა მარტო ქართველი ხალხის, არამედ კავკასიის ყველა ხალხის ისტორიას ასახავდა.

მაგრამ დაცვის ცუდი პირობებისა თუ იმის გამო, რომ ყოველი უწყება მხოლოდ პრაქტიკული საჭიროების თვალსაზრისით თვითნებურად წყვეტდა თვითეული დოკუმენტის ბედს, ამ მდიდარი დოკუმენტური მემკვიდრეობის დიდ ნაწილს რევოლუციამდე არ მოუწყვია.

არაფერი გაკეთებულა საქართველოში მეშვეიკური მთავრობის ბატონობის პერიოდში საუკუნეების მანძილზე წარმოქმნილი და რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე გაბნეული დიდი მეცნიერული ღირებულების მქონე წერილობითი ძეგლების დაღუპვისაგან გადასარჩენად. 1920 წლის აპრელში მენშევიკური დამფუძნებელი კრების მიერ მიღებულ კანონს ე. წ. „სამეცნიერო არქივის“ დაარსების შესახებ არსებითად არაფერი შედეგი არ მოყოლია.

მხოლოდ 1921 წლიდან, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან გახდა საარქივო საქმე საყოველთაო მზრუნველობის საგანი. 1921 წლის 1 ივლისს ბაქოში საქართველოს რევოლუციური კომიტეტის დეკრეტი „საარქივო საქმის რეორგანიზაციის შესახებ“, რომელსაც საფუძველად 1918 წლის 1 ივნისის დეკრეტის ლენინური პრინციპები დაედო.

ამ დეკრეტით საქართველოშიც გაუქმდა საარქივო საქმის საუწყვეტო სისტემა და დაკანონდა არქივების სახელმწიფოებრივი ცენტრალიზაცია ერთიანი სახელმწიფო საარქივო ფონდის სახით. შეიქმნა რესპუბლიკის უმაღლესი საარქივო ორგანო — საარქივო სამმართველო, რომელსაც დაევალა საქართველოს ტერიტორიაზე წარმოქმნილი წერილობითი მასალების სახელმწიფო არქივთსაცავებში თავმოყრა, დაცვა და მეცნიერული დამუშავების ორგანიზაცია.

ამ ღონისძიებებმა აღადგინეს არქივებისადმი ველური დამოკიდებულება, ბოლო მოუღეს არქივების დაქაოსულობას, შეიქმნა პირობები დოკუმენტური სიმდიდრის ფართოდ გამოყენებისა საბჭოთა მეცნიერების, კულტურის, სოციალისტური სახალხო მეურნეობისა და სხვა პრაქტიკული ინტერესებისათვის.

სკოლა და ცხოვრება

რომ ღირსეული ვზარდოთ თაობა...

□ **ტყიბულის** პიონერთა და მოსწავლეთა სახლის აქტივისტები იყვნენ აკაკი წერეთლის სამშობლო სოფელ სხვატორში, დაათვალიერეს პოეტის სახლ-მუზეუმი. შემდეგ ჭიათურაში ნახეს ქალაქის ღირსშესანიშნაობანი, შეხვდნენ ჭიათურელ თანატოლებს. პიონერთა სახლში მოეწყო მეგობრობის საღამო, სახლის დირექტორმა ვ. ჩახუნაშვილმა ნორჩ სტუმრებს საამახსოვრო საჩუქრები გადასცა.

ნ. ვასტანაბაძე.

□ **ბათუმში** ამას წინათ მოეწყო ნორჩ მხაზველთა მეორე რესპუბლიკური შეკრება. ნორჩ მხაზველთა კონკურსში გამარჯვებულ ბავშვებს გადაეცათ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პირველი და მეორე ხარისხის დიპლომები და ქების სიგელები.

სტუმრებს თვალსაჩინო თვითმმართველობა უჩვენეს ბათუმელმა პიონერებმა და მოსწავლეებმა

ვ. ბახტარაძე.

□ **მოწყო** ნოსირის (ცხაკაიას რაიონი) აკადემიკოს ბ. ქავთარაძის სახელობის 8-წლიანი სკოლის მოსწავლეთა ექსკურსია ქუთაისსა და გელათში.

მოსწავლეებმა დაათვალიერეს ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის საამქრები, შემდეგ ლითოფონის ქარხანა, ქალაქის მხარეთმცოდნეობის და ალ. ფეფოკიძის სახელობის მუზეუმები, გელათის ტაძარი.

თ. ოჩიგავა.

□ **საქართველოს** კპ ორჯონიკიძის რაიკომმა, რაისაბჭოს აღმასკომმა და კომკავშირის რაიკომმა მოაწყეს შეხვედრა რაიონის საშუალო სკოლების დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებთან.

შეხვედრა გახსნა მშრომელთა დეპუტატების ორჯონიკიძის რაიხაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ შ. რობაქიძემ. მოხსენება გააკეთა პარტიის ორჯონიკიძის რაიკომის პირველმა მდივანმა შ. ჯოგლიძემ.

მრავალმა მეათეკლასელმა სურვილი გამოთქვა საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ დარჩეს მშობლიურ კოლმეურნეობებში სამუშაოდ და დაუსწრებლად მიიღოს უმაღლესი განათლება.

ჟ. აბაშიძე.

□ **ახმეტის** მე-2 საშუალო სკოლის პიონერულმა რაზმმა სოფელ ჩაჩხრიალის დაწყებითი სკოლის პიონერებს მოუწყეს ბიგლიოთეკა. ასზე მეტი წიგნი გადასცეს ჩაჩხრიალელი მეგობრების ახალი ბიგლიოთეკის ფონდში.

ი. ქიბაროლაშვილი.

□ **სურამის** ლესია უკრაინკას სახელობის საშუალო სკოლის X კლასმა წელს რამდენიმე საინტერესო ლაშქრობა და ექსკურსია მოაწყო. ამას წინათ გავეგზავრეთ მცხეთაში, ვნახეთ მისი ისტორიული ძეგლები. მშობლიური რაიონის ბუნების დათვალიერების დროს გადავიღეთ მრავალი საინტერესო ფოტოსურათი ჩვენი სკოლის „სამახსოვრო ალბომისათვის“.

ი. ფიჩხაძე.

□ **აბაშის** რაიონში და მის ფარგლებს გარეთაც კარგად არის ცნობილი საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი ლაგრენტი პერტენავა. იგი არა მარტო საგნის (გეოგრაფია), მოწონაგი მასწავლებელია, არამედ სოფლის ცხოვრების აქტიური მონაწილეც. ონტოფოს საშუალო სკოლაში მან მოაწყო პლანეტარიუმი, რომელსაც მრავალი დამთვალიერებელი ჰყავს რესპუბლიკის სხვა სკოლებიდანაც. შარშან აქ ორიოდენ ოლქის მოსწავლეებიც კი იყვნენ.

ამას წინათ მადლიერმა თანასოფლელებმა სოფლსაბჭოს დეპუტატს, მოამაგე პედაგოგს დაბადების 60 წლისთავის ზეიმი მოუწყეს.

ივ. თოფფერია.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

მე-2 გვერდი
შაბათი,
1/VI, 1968 წ.

გვაცნობენ: წერილის უკან ადამიანია!

ვინ აჭიანურებს პასუხს

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

მკითხველთა წერილები... როგორიც არ უნდა იყოს ისინი — წინადადებები თუ განცხადებები, პირადი თხოვნა თუ ჩვენი ნაკლოვანებების კრიტიკა — მათში ყოველთვის არის საზოგადოებრივი აზრი, ადამიანების განწყობილებანი, ფიქრები, მისწრაფებანი. ასეთი წერილების მთელი შეკვრა ყოველთვის მოდის რედაქციაში, იგი მოაქვს კეთილ მაცნეს — ფოსტალიონს.

თავისებურ გზას გადის რედაქციაში ეს წერილები. აქ წყდება რომელი უნდა დაიბეჭდოს, რომელზე სასწრაფო ზომები უნდა იქნას მიღებული, სად გადაიგზავნოს, რომ იქ განიხილონ, გადაწყვიტონ, იზრუნონ წერილის საბოლოო ბედზე.

წერილებზე მუშაობა საოთუთი საქმეა, რადგან მის უკან ადამიანია, რომლის აზრსა და ფიქრებს გამოხატავს იგი. ეს ასეა, მაგრამ სათუთ დამოკიდებულებასთან ერთად მას სჭირდება ოპერატიული გადაწყვეტა, დროული რეაგირება. რედაქციაში გამოგზავნილი წერილის ავტორს სურს მისი დაბეჭდვა, საზოგადოებრივი აზრის სამსჯავროზე გამოტანა. გაზეთში დაბეჭდვის შემდეგ არა მარტო ავტორი, არამედ მკითხველები ელიან შედეგს, იმას, თუ რა ღონისძიებანი განხორციელდა პრესაში გამოსვლით. გაზეთიც მოვალეა დროულად აუწყოს მკითხველებს კრიტიკული სიგნალის თუ წინადადებების გამოქვეყნების შედეგად მიღებული ზომები. სამწუხაროდ, ზოგჯერ ეს არ ხერხდება. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს.

„კომუნისტის“ 15 მარტის ნომერში დაიბეჭდა სიგნალი სათაურით „ქოლგით და ფოტოაპარატით ქუთაისის ქუჩებში“. იგი ქალაქის ზოგიერთი ქუჩის კეთილმოწყობლობას ეხებოდა. საკვირველია, რომ ამ სიგნალზე რეაგირება ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს ორი თვის თავზე გაახსენდა. და ცხადია, რედაქციაშიც პასუხი ამაზე უფრო გვიან მოვიდა. განა ეს არის გაზეთის სიგნალებზე დროული გამოხმაურება?

მეორე ფაქტი: შარშან, დეკემბერში ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა გ. მარცვალაშვილის შენიშვნა, რომელშიც იგი წერდა:

„ჩარგალისა და მეზობელი სოფლების მოსახლეობას აწუხებს უტრანსპორტობა. ჩვენ ბევრჯერ ფეთით გავდივართ 10-12 კილომეტრს მაღაროსკარამდე, სადაც გაჩერებაა დაწესებული, რომ იქიდან გადევმგზავრთ რაიონულ ცენტრში ან დედაქალაქში“... „ჩვენი სოფლის მოსახლეობა თუ არა, განა ცოტა ვაქვს სახლ-მუზეუმის ნახვის მსურველი როგორც თბილისში, ისე რაიონის ცენტრში?“... ავტორი აყენებდა საკითხს, რომ დაწესებულიყო საავტობუსო მიმოსვლა „ჩარგალი-თბილისი“, ან „ჩარგალი-დუშეთი“.

ამ წერილის გამოქვეყნებიდან თითქმის ნახევარი წელიწადი გავიდა, მაგრამ არც საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის საბინისტროდან და არც დუშეთის რაისაბჭოს აღმასკომისაგან ჩამჩიჩვა არ ისმის, არც ის, თუ ფაქტი სწორია და საკითხი მოგვარდება, მშრომელთა მოთხოვნა დაკმაყოფილებული იქნება და არც სხვა რაიმე მოსაზრება. გაზეთის სიგნალი, მშრომელთა მოთხოვნა, როგორც იტყვიან, დარჩა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“.

ერთ თვეზე მეტი დრო დასჭირდა თბილისის თბილისის ᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲘᲡᲢᲗᲐᲕᲘᲡᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲡ, რომ შეედგინათ და რედაქციაში გამოეგზავნათ ასეთი მოკლე ტრანსტი:

„შემოწმებით დადასტურდა, რომ გასულ გათბობის სეზონში ადგილი ჰქონდა გამთბობი საქვაბისათვის გაზისა და წყლის შეფერხებებით მიწოდებას, რის გამო „თემქი“-ს დასახლების X კვარტალის № 898 კორპუსი თბებოდა არასტაბილურად!.. და შემდეგ რამდენიმე სტრიქონით ნათქვამია, თუ რა სამუშაოები მიმდინარეობს აქ ბინების გათბობის მოგვარებისათვის.

თბილისის თბომეურნეობის სამმართველოს ეს პასუხი გამოხმაურებაა იმ წერილზე, რომელიც ჩვენი გაზეთის 24 მარტის ნომერში დაიბეჭდა სათაურით „ქარი მეზღაპრენი“, ვფიქრობთ კომენტარი ზედმეტია. პასუხი მოვალეობის მოხდის მიზნით არის გამოგზავნილი და არა იმისათვის, რომ მკითხველებს დროულად მივაწოდოთ სწორი ინფორმაცია გაზეთის კრიტიკული შენიშვნის შედეგად მიღებული ზომების შესახებ.

პრესის გამოსვლებზე, მშრომელთა წერილებზე უყურადღებო, არაობიექტიური დამოკიდებულების, წაკურუბის მოყვარულნი, რა თქმა უნდა, ცოტანი არიან, მაგრამ ისინი, მაინც მნიშვნელოვნად უშლიან ხელს პარტიულ, საბჭოთა და პრესის ორგანოებს მუშაობაში. იწვევენ ავტორთა უკმაყოფილებას და აიძულებენ მათ წერონ განმეორებითი განცხადებები ან მიმართონ ზემდგომ ორგანოებს იმ საკითხებზე, რომელთა გადაჭრა და პასუხის გაცემა ადგილზე დროულად შეიძლებოდა.

ყოველდღიურად რედაქციაში მოსული ყველა წერილისა და კრიტიკული შენიშვნის გაზეთში გამოქვეყნება, რა თქმა უნდა, შეუძლებელია. რედაქციას აქვს მშრომელთა წერილებზე მუშაობის, წინადადებების, სიგნალების გამოყენების სხვა მეთოდები და საშუალებანი. რედაქციაში მოსული ზოგიერთი შენიშვნა, განცხადება, საჩივარი, წინადადება იგზავნება სხვადასხვა პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო ორგანიზაციებში, რომლებიც მოვალენი არიან მეელი გულისხმიერებით, ობიექტურად და ოპერატიულად შეამოწმონ, განიხილონ და გადაწყვიტონ ისინი, აცნობონ პასუხი ავტორებსა და რედაქციას.

გვხვდება ისეთი ფაქტებიც, როცა სხვადასხვა ორგანოებში გადაგზავნილ მშრომელთა განცხადებას თუ თხოვნას დროულად რიდი ეხმაურებიან.

უკვე ნახევარი წელიწადია საქალაქო-რაიონრგომშეკრების ტრესტში გადაგზავნილია მ. ვადაჭკორიას განცხადება, რომელშიც ავტორი უჩიოდა დამსმარე საწარმოთა კომბინატის დირექციას სამუშაოდან უმართებულოდ განთავისუფლების გამო. მას შემდეგ რედაქციამ ხუთჯერ მიწერა და შეახსენა ტრესტს, რომ პასუხი გამოეგზავნა, მაგრამ ეს თხოვნა ყურად არ იღეს.

გამოწერილი ეურნალ-გაზეთების მიუღებლობასა და ზოგიერთ სხვა მოუგვარებელ საქმეზე გვატყობინებდა ჭერ კიდევ გასული წლის ნოემბერში ნ. ფოალ-წყაროელი ე. ცაბურიშვილი. რაისაბჭოს აღმასკომმა, რომელსაც ეს წერილი ჰქონდა გადაგზავნილი, რამდენჯერმე შეკახსენეთ, მაგრამ პასუხი ჭერ ჭერობით არა ჩანს.

ასეთივე ბედი ეწია წყალტუბოს რაიონის სოფელ ბანოჯის მცხოვრებ გ. ჩოგოვაძის საჩივარს. იგი იმავე სოფლის მაღაზიის გამგეს უჩიოდა სხვადასხვა დანაშაულობათათვის. განცხადება წყალტუბოს რაიმილიციას გადაეგზავნა. ამ შვიდი თვის მანძილზე რედაქციამ არაერთხელ მოაგონა რაიმილიციის მუშაკებს — ეცნობებინათ შედეგი, მაგრამ ამაოდ. იგივე შეიძლება თქვას საქართველოს სსრ სახოფლო მშენებლობის სამინისტროში გაგზავნილ ნ. ჩიჩუას, ე. რუსიას და სხვათა კოლექტიურ წერილზე, გორის რაიმილიციაში გაგზავნილ გ. მეჩიოთაშვილის და ზოგიერთ სხვა განცხადებაზე.

ეს მაგალითები იმაზე მეტყველებენ, რომ მშრომელთა წერილებზე — ამ ადამიანურ დოკუმენტებზე — მუშაობას ზოგან ჭერ კიდევ აკლია სერიოზული, გულისხმიერი მიდგომა, საქმისადმი კომუნისტური, სახელმწიფოებრივი დამოკიდებულება. მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველი წერილის უკან ადამიანი!

გ. ჩიქვინიძე.

ᲥᲔᲗᲘᲚᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲕᲘᲚᲘᲝᲜᲘ

ლენინი, (საკ. კორ.). სულ უფრო უმჯობესდება სვანეთის მთიანი სოფლების მცხოვრებთა საყოფაცხოვრებო მომსახურება, ამ დღეებში რაიონის ერთ დიდ სოფელში — რცხმელურში საექსპლოატაციოდ გადაეცა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების პავილიონი. აქ მუშაობას შეუდგა ტანსაცმლის სამკერვალო და ფეხსაცმლის შემკეთებელი სამკრო.

ᲥᲝᲠᲬᲘᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲡᲘᲛᲯᲙᲘᲪᲘᲡ ᲡᲐᲤᲘᲜᲓᲐᲠᲘ

დიდი ინტერესით განიხილავს ჩვენი საზოგადოებრიობა ქორწინებისა და ოჯახის შესახებ ახალი კანონის გამოქვეყნებულ პროექტს.

ეს გასაგებიც არის, რადგან საბჭოთა ოჯახი, როგორც ქალისა და მამაკაცის მატერიალური ანგარიშებისაგან თავისუფალ ურთიერთსიყვარულსა და ნებაყოფლობით ქორწინებაზე დაფუძნებული კავშირი, ყოველთვის იდგა ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს ყურადღების ცენტრში.

საბჭოთა ხელისუფლების პირველსავე წლებში ოჯახისა და ქორწინების, შესახებ გამოცემულმა დეკრეტებმა და მათ საფუძველზე შემდგომში შემუშავებულმა საბჭოთა საოჯახო კოდექსებმა გარანტია შექმნეს ოჯახში მამაკაცთან ქალის თანასწორუფლებიანობის, მშრომელთა მიერ შვილების კომუნისტური მორალის პრინციპებზე აღზრდის და ოჯახის ყველა წევრის მეგობრობისა და ურთიერთპატივისცემის მაღალი გრძნობების განმტკიცებისათვის.

ოჯახისა და ქორწინების სოციალისტური კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფის საქმეში დიდი როლი შეასრულა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 8 ივლისის ბრძანებულებამ.

როგორც ცნობილია, სხვა მეტად მნიშვნელოვან ღონისძიებებთან ერთად, ამ ბრძანებულებამ კანონიერი ძალა მისცა მხოლოდ რეგისტრირებულ ქორწინებას, გააუქმა მამობის დადგენის სასამართლო წესი და შემოიღო განქორწინების სავალდებულო სასამართლო პროცედურა.

როგორც ეს საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონმა მოქმედი კოდექსებით არის, მინიშნებული, ქორწინების რეგისტრაციის შემოღება ემსახურება როგორც სახელმწიფოს ინტერესებს, ისე მეუღლეთა და მათი შვილების პირადი და ქონებრივი უფლებინტერესების დაცვას.

ამავე თვალსაზრისს გამოხატავს ახალი კანონის პროექტი, რომლის თანახმად, მსგავსად მოქმედი ნორმებისა, მეუღლეთა უფლება-მოვალეობის წარმოქმნის საფუძველად აღიარებული მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ სახელმწიფო ორგანოებში მოხდენილი ქორწინება (პროექტის მე-9 მუხლი).

პროექტში მითითებულია, რომ ბავშვთა წარმოშობა იმ მშობლებისაგან, რომლებიც კანონიერად არიან დაქორწინებული, დასტურდება მშობლთა ქორწინების შესახებ ჩანაწერით. ხოლო თუ მშობლები დაქორწინებული არ არიან, მათგან ბავშვის წარმოშობა დადგინდება მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ სახელმწიფო ორგანოებში ბავშვის დედამის ერთობლივი განცხადების შეტანის გზით.

ამასთანავე ახალი კანონის პროექტი ითვალისწინებს: ჩვენს საოჯახო სამართალში ერთ დროს არსებული ძველი წესის სათანადო ცვლილებებით აღდგენას, რომლის მიხედვითაც თუ ბავშვი შეეძინათ დაუქორწინებელ მშობლებს მათი ერთობლივი განცხადების უქონლობის შემთხვევაში მამობა შეიძლება დადგინდეს სასამართლო წესითაც. სასამართლომ ასეთი საკითხის გადაწყვეტისას მხედველობაში უნდა მიიღოს არა ყველა, არამედ ზუსტად განსაზღვრული პირობები.

ეს პირობებია: ბავშვის დედისა და მოპასუხის ერთად ცხოვრება და საერთო მეოჯახეობა ბავშვის დაბადებამდე, ან ბავშვის ერთად აღზრდა და რჩენა.

კანონის ამ ახალი ვარიანტის წინააღმდეგ გამოთქვა მოსაზრება, რომ ასეთი შეზღუდული წესი თითქოს საეჭვებით გამორიცხავს სასამართლოს გზით მამობის დადგენის შესაძლებლობას. როცა მამები მონაწილეობას იღებენ შვილების აღზრდასა და შენახვაში, სასამართლოსათვის მიმართვა თითქოს საჭიროც არ არის, რადგან მათ შესაძლებლობა აქვთ უმამისოდაც დათანხმდნენ მამობაზე. იმავე დროს იმ პირს, რომელსაც სურს თავი გაითავისუფლოს ბავშვის მიმართ მშობლის მოვალეობის შესრულებისაგან, შესაძლებლობა ეძლევა მიმართოს ადგილ ხერხს — უარი თქვას ბავშვისათვის მატერიალური დახმარების აღმოჩენაზე.

ხსენებული მოსაზრების ავტორები თვლიან, რომ პროექტი ამით წინასწარ ათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან ცოლიან მამაკაცებს, ანდა საერთო საცხოვრებელში მცხოვრებ უცოლოებს, რომელნიც, როგორც წესი, სხვადასხვა მიზეზთა გამო არ ცხოვრობენ და არ ეწევიან საერთო მეოჯახეობას. კანონიერი ქორწინებით დაბადებული ბავშვების დედებთან, მათი აზრით აუცილებლობა — ყოველთვის აგონ პასუხი თავიანთი მოქმედებისათვის ბევრ მამაკაცს ეიმედებოდა შეაკავებინებდა თავს ქორწინებისგარეშე კავშირისაგან. ამიტომ მათი დასკვნით აუცილებელია დაკანონდეს, რომ ორივე მშობლის უფლებათა და მოვალეობათა წარმოქმნის ერთადერთ საფუძველს წარმოადგენს ბავშვის წარმოშობა მათგან (სისხლითი ნათესაობა), და ამდენად ქორწინების გარეშე დაბადებული შვილები ყველა შემთხვევაში უნდა სარგებლობდნენ იმავე უფლებებით, როგორც ქორწინებაში მყოფი მშობლების შვილები.

გამოთქვეა ისეთი აზრიც, რომ მამობის დადგენასას სასამართლომ მხედველობაში მიიღოს არა მარტო პროექტის მე-16 მუხლში მითითებული გარემოებანი, არამედ ყველა სხვა მტკიცებებიც (ბიმოწერა, მოწმეთა ჩვენება და სხვ.), ე. ი. სასამართლო ამ საკითხის გადაწყვეტის დროს შეზღუდული არ იყოს რაიმე საკანონმდებლო პირობებით.

ზემოხსენებული მოსაზრებანი ჩვენ არ მიგვაჩნია გასაზიარებლად და ეს რატომ:

ჭერ კიდევ პირველი საბჭოთა საოჯახო კოდექსის შემუშავების დროს რეგისტრირებული ქორწინების ცნობის პრინციპის მომხრენი, უარყოფენ რა ფაქტიური ქორწინების სამართლებრივ დაცვას, უსაფუძვლოდ როდი ამტკიცებენ, რომ იგი საფრთხეს უქმნის მონოგამიური ოჯახის შექმნის პრინციპს და ახალისებს მრავალცოლიანობას; რომ ფაქტიური ქორწინებითი ურთიერთობისას გამორიცხულია სახელმწიფოს კონტროლი ამ ქორწინებათა კანონიერებისადმი, რამდენადაც მეუღლენი გვერდს უვლიან მოქალაქეთა მდგომარეობის ჩამწერ ორგანოებს; რომ ასეთ შემთხვევებში ძნელდება მოსახლეობის მოძრაობის აღრიცხვის მთელი რიგი დემოგრაფიული ამოცანების განხორციელება და რომ ფაქტიურ ქორწინებათა ლეგალიზაცია ბიძგს იძლევა ქალაფშუტული კავშირებისაკენ, ქორწინების გამორჩენის მიზნით გამოყენებისაკენ.

ცნობილია, თუ როგორ ილაშქრებდა ვლადიმერ ილიასძე ლენინი „თავისუფალი სიყვარულის“ ბურჟუაზიული თეორიის წინააღმდეგ. იგი მას გარყვნილების თავისუფლებას უწოდებდა და გადაჭრით მოითხოვდა არა „წუთიერ გატაცებაზე“, არამედ სიყვარულსა და სამოქალაქო ქორწინებაზე დაფუძნებულ ოჯახის შექმნასა და განმტკიცებას.

თანამედროვე საბჭოთა ქალის მაღალი მორალური თვისებები არ შეიძლება შეუთავსდეს „წუთიერი გატაცების“ შედეგად შვილის გაჩენის ფაქტებს, მას კარგად უნდა ახსოვდეს, რომ მხოლოდ რეგისტრირებული ქორწინება განაპირობებს როგორც მის დედობრივ ფუნქციათა, ისე მისი შვილების უფლება-ინტერესების ჭკვიან განხორციელებას. მიუხედავად ამისა, თუ იგი მაინც მოისურვებს ქორწინებისთვის დადგენილი ამ საგალდებულო ფორმის არდაცვას და დარღვევას, თავის თავზე უნდა მიიღოს შვილის აღზრდისაგან დამოკიდებული ყველა ქონებრივ-უფლებრივი შედეგი. რასაკვირველია, რეგისტრირების ფორმის დაცვა ერთნაირად სავალდებულოა მამაკაცისთვისაც.

თუ 1918 წლის საოჯახო კოდექსისაგან განსხვავებით რსფსრ 1926 წლის კოდექსით ძალა მიეცა ფაქტიურ საკორწინო ურთიერთობას და იგი რეგისტრირებულ ქორწინებას გაუთანასწორდა, ამას ჰქონდა თავისი მიზეზები. ეს ძალთა ინტერესების დაცვის გაძლიერებიდან გამომდინარეობდა, რომელთა ნაწილი ზოგჯერ ძალიან მდგომარეობაში იმყოფებოდა იმის გამო, რომ, როგორც სწორად არის შენიშნული, ფაქტიურ ქმართან ცხოვრება მათ არ აძლევდა არავითარ უფლებას ერთად ცხოვრების დროს შეძენილ ქონებაზე და რჩენა-ქმაყოფის მოთხოვნაზე. ამით სარგებლობდნენ მაშინ არაშრომითი ელემენტები და ექსპლოატაციას უწევდნენ ქალებს, რომლებთანაც ისინი ფაქტიურად დაქორწინებული იყვნენ. ამასთანავე იმ პერიოდში მრავალ ქალს არ გააჩნდა სპეციალობა, არ იყო ჩაბმული საზოგადოებრივ შრომაში და ეკონომიურად ჭერ კიდევ არ იყო გათანაბრებული მამაკაცთან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 8 ივლისის ბრძანებულებით დასახული ღონისძიებათა გატარება მართლაც შესაძლებელი გახდა იმასთან დაკავშირებითაც, რომ სოციალისტური ფაქტიური ქორწინებიდან ოჯახის შექმნის პრინციპს და ახალისებს მრავალცოლიანობას; რომ ფაქტიური ქორწინებითი ურთიერთობისას გამორიცხულია სახელმწიფოს კონტროლი ამ ქორწინებათა კანონიერებისადმი, რამდენადაც მეუღლენი გვერდს უვლიან მოქალაქეთა მდგომარეობის ჩამწერ ორგანოებს; რომ ასეთ შემთხვევებში ძნელდება მოსახლეობის მოძრაობის აღრიცხვის მთელი რიგი დემოგრაფიული ამოცანების განხორციელება და რომ ფაქტიურ ქორწინებათა ლეგალიზაცია ბიძგს იძლევა ქალაფშუტული კავშირებისაკენ, ქორწინების გამორჩენის მიზნით გამოყენებისაკენ.

ცნობილია, თუ როგორ ილაშქრებდა ვლადიმერ ილიასძე ლენინი „თავისუფალი სიყვარულის“ ბურჟუაზიული თეორიის წინააღმდეგ. იგი მას გარყვნილების თავისუფლებას უწოდებდა და გადაჭრით მოითხოვდა არა „წუთიერ გატაცებაზე“, არამედ სიყვარულსა და სამოქალაქო ქორწინებაზე დაფუძნებულ ოჯახის შექმნასა და განმტკიცებას.

თანამედროვე საბჭოთა ქალის მაღალი მორალური თვისებები არ შეიძლება შეუთავსდეს „წუთიერი გატაცების“ შედეგად შვილის გაჩენის ფაქტებს, მას კარგად უნდა ახსოვდეს, რომ მხოლოდ რეგისტრირებული ქორწინება განაპირობებს როგორც მის დედობრივ ფუნქციათა, ისე მისი შვილების უფლება-ინტერესების ჭკვიან განხორციელებას. მიუხედავად ამისა, თუ იგი მაინც მოისურვებს ქორწინებისთვის დადგენილი ამ საგალდებულო ფორმის არდაცვას და დარღვევას, თავის თავზე უნდა მიიღოს შვილის აღზრდისაგან დამოკიდებული ყველა ქონებრივ-უფლებრივი შედეგი. რასაკვირველია, რეგისტრირების ფორმის დაცვა ერთნაირად სავალდებულოა მამაკაცისთვისაც.

თუ 1918 წლის საოჯახო კოდექსისაგან განსხვავებით რსფსრ 1926 წლის კოდექსით ძალა მიეცა ფაქტიურ საკორწინო ურთიერთობას და იგი რეგისტრირებულ ქორწინებას გაუთანასწორდა, ამას ჰქონდა თავისი მიზეზები. ეს ძალთა ინტერესების დაცვის გაძლიერებიდან გამომდინარეობდა, რომელთა ნაწილი ზოგჯერ

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

საერთაშორისო ცხოვრება

საფრანგეთის ამბები

გენერალ დე გოლის განცხადება

პარიზი, 30 მაისი. (საკდესი). მთავრობის საგანგებო სხდომის შემდეგ დღეს პრეზიდენტმა დე გოლმა საფრანგეთის რადიოთი გააკეთა განცხადება. მან გამოაცხადა, რომ დათხოვნილია ეროვნული კრება, გადადო წინათ 16 ივნისისათვის დასახული რეფერენდუმი და გადაწყვიტა დარჩეს სახელმწიფოს მეთაურის პოსტზე, ჟორჟ პომპიდუ კი დატოვოს მთავრობის მეთაურის პოსტზე.

დე გოლმა თქვა, რომ იგი „ეროვნული და რესპუბლიკური კანონიერების მატარებელია, რომ 24 საათს სწავლობდა ამ კანონიერების დაცვის ყველა შესაძლებლობას. შექმნილ ვითარებაში, განაცხადა მან, არ დავტოვებ ჩემს პოსტს, არ შევცვლი აგრეთვე პრემიერს. პრემიერ-მინისტრი წარმომიდგენს თავის წინადადებებს მთავრობის შემადგენლობაში ცვლილებათა შესახებ, „რომლებსაც იგი სასარგებლოდ მიიჩნევს“.

გამოაცხადა რა ეროვნული კრების დათხოვნა, დე გოლმა თქვა: „მე შევთავაზე ქვეყანას რეფერენდუმი.... მაგრამ ახლანდელი ვითარების ფაქტიური პირობები ხელს უშლიან მის მოწყობას. აი ამიტომ გადავდე რეფერენდუმის თარიღი, რაც შეეხება პარლამენტის არჩევნებს, იგი გაიმართება კონსტიტუციით გათვალისწინებულ ვადებში“. არჩევნები მოეწყობა იმ შემთხვევაში, დასძინა დე გოლმა, თუ ამას ხელს არ შეუშლის ოპოზიციური პარტიებისა და ჯგუფების მოქმედება.

თავისი სიტყვის დასკვნითს ნაწილში დე გოლი ამტკიცებდა, რომ საფრანგეთს ემუქრება „დიქტატურისა“ და „ტოტალიტალური კომუნიზმის“ საფრთხე. მან მუქარით განაცხადა, „თუ გაგრძელდა ახლანდელი სიტუაცია, რომლის დამახასიათებელია ძალა, „იძულებული იქნება მომართოს სხვაგვარ საშუალებებს და არა დაუყოვნებლივ კენჭისყრას“.

საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიუროს განცხადება

პარიზი, 30 მაისი. (საკდესი). საფრანგეთის კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს აზრით პრეზიდენტ დე გოლის დღეანდელი გამოსვლა რადიოთი ნიშნავს „ომის გამოცხადებას“ მშრომელებისათვის.

საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიუროს განცხადებაში აღნიშნულია, რომ ეს ომი „მიმართულია“ მშრომელთა წინააღმდეგ, რომლებიც გაიფიცნენ თავიანთი მოთხოვნების დასაცავად, სტუდენტთა და მასწავლებელთა წინააღმდეგ, რომლებიც უმაღლეს სასწავლებლთა დემოკრატიზაციისათვის იბრძვიან, მილიონობით ფრანგის წინააღმდეგ, რომლებიც პოლიტიკურ ცვლილებებს მოითხოვენ“.

პოლიტბიურო მოუწოდებს ფრანგებს „დაამყარონ ნამდვილი დემოკრატია მშრომელთა ინტერესებისათვის“.

დემოკრატიული, სოციალისტური მემარცხენე ძალების ფედერაციის თავმჯდომარემ მიტერანმა მკაცრად დაგმო პრეზიდენტ დე გოლის გამოსვლა და მოუწოდა ფრანგებს „მშვიდად და გაბედულად შეხვდნენ მას“.

საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

პარიზი, 30 მაისი. (საკდესი). დღეს პარიზში გაიმართა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა საფრანგეთში შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობა.

პლენუმის დამთავრების შემდეგ გაიმართა პრეს-კონფერენცია, რომელზეც საფრანგეთის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ჟ. როშემ წაიკითხა განცხადება. განცხადებაში მან ხაზი გაუსვა, თუ რა განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვან მომენტს განიცდის ქვეყანა.

ჟ. როშემ აღნიშნა, თუ რა უდიდესი წარმატება აქვნდა პარიზელთა გუშინდელ დემონსტრაციას და განაცხადა: „დემონსტრაციამ ცხადყო მშრომელთა ნება, რომლებსაც მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი შეცვალონ პოლიტიკა დე გოლის გადადგომის შედეგად და შექმნან დემოკრატიული კავშირის სახალხო მთავრობა“. ჟ. როშემ მოუწოდა ერთობისათვის მთელ მემარცხენე ძალებს. ეს მოითხოვს იმას, რომ „მუშათა კლასმა, ერის გადამწყვეტმა ძალამ, მისმა კომუნისტურმა პარტიამ თავიანთი ადგილი დიკავონ დემოკრატიული კავშირის მომავალ მთავრობაში“.

საფრანგეთის კომუნისტური პარტია მზად არის „ავისრულოს თეული პასუხისმგებლობა, რომელიც ეკისრება მშრომელთა დიდ პარტიას, თქვა ჟ. როშემ. იგი განაგრძობს ბრძოლას მშრომელთა მხარეზე დემოკრატიული კავშირის სახალხო მთავრობისათვის, სადაც კომუნისტები დაიკავებენ ადგილს, რომლის უფლებაც აქვთ.

ინგლისის ზღვარზე

ლონდონი, 31 მაისი. (საკდესი). ინგლისის საფინანსო-ეკონომიური მდგომარეობა კვლავ მძიმეა, გირვანქა სტერლინგი მინიმალურად დასაშვები კოტირების სიმაღლისწერილ ზღვარზეა. იგი ღირს 2 დოლარი და 38 ცენტი და მოელის ახალი დევალვაციის საფრთხე. გასული და მიმდინარე კვირის მანძილზე გირვანქა სტერლინგის კურსს არც ერთხელ არ მიუღწევია ოფიციალური პარიტეტისათვის — 2 დოლარისა და 40 ცენტისათვის.

მორიგი ვალუტის ციებ-ცხელება გამოიწვია ცნობებმა, რომ ბევრმა ბანკმა შეწყვიტა ფრანგული ფრანკის ოპერაციები.

მეექვსე ოფიციალური საუბარი

პარიზი, 31 მაისი. (საკდესი). პარიზში კლებერის ავენიუზე საერთაშორისო კონფერენციათა სახლში დაიწყო ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკებისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა მეექვსე ოფიციალური საუბარი. ვიეტნამის დემოკრატიული, რესპუბლიკის დელეგაციას მეთაურობს ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მინისტრი სუან თხიუი, ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციას — განსაკუთრებულ დავალებათა ელჩი ა. ჰარიმანი.

მსოფლიოს დეპეშათა სააგენტოები იუწყებიან

ღარიბთა პროტესტი

ვაშინგტონი, 31 მაისი. (საკდესი). ვაშინგტონში ღარიბთა ლაშქრობის ათასზე მეტმა მონაწილემ ჩაიარა გუშინ დედაქალაქის ქუჩებში იმის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, რომ მთავრობა აბორციელებს დარიბ ამერიკელთა დისკრიმინაციის პოლიტიკას. „ჩვენ ვერ გავაკლებთ ამერიკაში, თუ გოლოს არ მოვუღებთ მთავრობის ახლანდელ კოლიტიკას, რომელსაც ჩვენი დაღუპვა მოუყვებაა“, — განაცხადა მღვდელმა ა. იანგმა, რომელიც დემონსტრანტთა წინაშე გამოვიდა.

მღელვარება ლუისვილში

ნიუ-იორკი, 30 მაისი. (საკდესი). კენტუკის შტატის ქალაქ ლუისვილის ზანგთა უბანში შეიყვანეს პოლიციის ახალი ქვეგანაყოფები, რათა ჩაახშონ მღელვარება, რომელიც იქ მეოთხე დღეა გრძელდება.

ქალაქში შემოღებულია კომენდანტის საათი. ეროვნული გვარდიის 2 ათასი ჯარისკაცი, რომელებიც ლუისვილში გაგზავნეს შტატის გუბერნატორის ბრძანებით, ქუჩებიდან ერეკება შეგროვილ ხალხს.

წუხელ ორი ზანგი ჭაბტკი შეეწირა ამ მღელვარებას. ერთ-ერთი მათგანი — 14 წლის ჯ. გროუვსი მოკლა პოლიცელმა, მეორე — მ. ბრაუდერი — მაღაზიის მფლობელმა. პოლიციამ განაცხადა, ახალგაზრდები მაღაზიას ძარცვავდნენო.

ხელისუფალთ ზანგების აწოკება „წესრიგის დაცვის“ საუკეთესო საშუალებად მიაჩნიათ: 300 კაცი საპყრობილეშია „სიმშვიდისა და კომენდანტის საათის დარღვევისათვის“, როგორც საინფორმაციო საგენტოები იტყობინებიან, 30 კაცი დაჭრილია.

I ივნისი ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეა

აგრესორები

სამარცხვინო ბოლოგვალი

ასე გულდამწვარი მოთქვამს ათასობით ვიეტნამელი დედა, რომელებსაც ამერიკელმა აგრესორებმა უმწეო არსება უდროოდ ხელიდან გამოაცალეს. ათასობით უდანაშაულო ადამიანთა სიცხლია ამერიკის სამხედრო ხროვის სინდისზე, და ამ საზიზღარ დანაშაულს დღეს გმობს ყველა მშვიდობისმოყვარე ადამიანი მსოფლიოს ყველა კუთხეში.

□ □ □

სამხრეთვიეტნამელ ქალთა მოწოდება

კანო, 31 მაისი. (საკდესი). ვიეტნამის საინფორმაციო საგენტო, რომელიც იმოწმებს საგენტო განთავისუფლებას, იუწყება, რომ ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით სამხრეთ ვიეტნამის დედისა და ბავშვის დაცვის ასოციაციამ წერილი გაუგზავნა ბავშვთა დაცვისათვის მებრძოლ მსოფლიოს ყველა დედასა და ყველა ორგანიზაციას.

წერილში დაგმობილია ამერიკის სამხედრო ხროვის დანაშაული სამხრეთ ვიეტნამში და ხაზგასმულია, რომ სამხრეთვიეტნამელ ქალებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი განაგრძონ ბრძოლა თავიანთი შვილების დასაცავად, ამერიკელ აგრესორთა წინააღმდეგ.

ბუნდესტაგმა მიიღო საგანგებო კანონები

ბონი, 30 მაისი საკდესის კორესპონდენტი ი. ბორისოვი გვატყობინებს: სახელმბითი კენჭისყრით დასავლეთ გერმანიის ბუნდესტაგმა დღეს საღამოს საბოლოოდ მოიწონა „საგანგებო კონსტიტუციის“ პროექტი. ამ პროექტმა მიიღო 384 ხმა, წინააღმდეგ — 100 ხმა. კანონპროექტის წინააღმდეგ ხმა მისცეს ოპოზიციური თავისუფალი დემოკრატიული პარტიის დეპუტატებმა, აგრეთვე სოციალ-დემოკრატიული პარტიის დეპუტატთა ნაწილმა.

განხილვის დროს კანონპროექტი გააკრიტიკა თავისუფალი დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარემ მეიერმა, რომელმაც ხაზი გაუსვა, რომ კანონპროექტის მიღების შედეგად შეიზღუდება მოქალაქეთა ძირითადი უფლებანი, მან დაგმო აგრეთვე პარლამენტის, როგორც საკონტროლო ინსტანციის, უფლებათა შელახვა. თავისუფალი დემოკრატიული პარტიის ფრაქცია, განაცხადა შეელმა, უარყოფს კანონპროექტს.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარემ შმიდტმა მოითხოვა „საგანგებო კონსტიტუციის“ მიღება.

„საგანგებო კონსტიტუციის“ მიღებას მოითხოვდა კანცლერი კიზინგერიც. მან განაცხადა, რომ კანონპროექტის განხილვა „საპარლამენტო დემოკრატიისა და დიდი კოალიციის დიდი გამოცდაა“. კანცლერმა ქება-დიდება შეასხა გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, რომელმაც, მისი თქმით, გამოიჩინა „პასუხისმგებლობის შეგნება“.

შეეხო რა საკდესის ამასწინანდელ განცხადებას, კიზინგერმა უარყო ის აზრი, რომ საგანგებო კანონმდებლობა გზას უხსნის სამხედრო დიქტატურის დამყარებას. ფაქტების აპკარად საწინააღმდეგოდ მან განაცხადა, რომ საგანგებო კანონმდებლობა „არ ეწინააღმდეგება“ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუციას.

ბუნდესტაგმა ხმების უმრავლესობის მესამე წაკითხვით მოიწონა ეგრეთწოდებული „მარტივი“ საგანგებო კანონები.

ᲐᲨᲨ

ᲧᲝᲜᲡᲝᲜᲘᲡ ᲞᲠᲔᲡ-ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

ვაშინგტონი, 31 მაისი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯონსონმა გუშინ თავის ტეხასის რანჩოში მოაწყო პრეს-კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობდნენ სამხრეთ ვიეტნამში განლაგებული ამერიკის ჯარების სარდალი გენერალი უესტმორლენდი და ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტად მყოფი ავსტრალიის პრემიერ-მინისტრი გორტონი.

ჯონსონმა განაცხადა, რომ გენერალმა უესტმორლენდმა მოახსენა ვიეტნამის ომის მიმდინარეობა. პრეს-კონფერენციაზე უესტმორლენდი შეეცადა ეარდისფრად დაეხატა ამერიკის შეერთებული შტატებისა და მისი მოკავშირეების ჯარების მდგომარეობა სამხრეთ ვიეტნამში. მაგრამ გენერალმა აქვე დასძინა, რომ ამერიკელმა ხალხმა უნდა „გამოიჩინოს თავდაჭერილობა და მოთმინება“ და მოემზადოს იმისათვის, რომ სამხრეთ ვიეტნამში გაიმართება „ფიცხელი ბრძოლები“.

ბინძურ ომში ავსტრალიის მონაწილეობისათვის მადლობის ნიშნად ჯონსონმა აქვე პრეს-კონფერენციაზე გადასცა ავსტრალიის პრემიერ-მინისტრ გორტონს სიგელი. ამ სიგელით პრეზიდენტმა დააჯილდოვა ავსტრალიელთა ერთ-ერთი ასეული, რომელიც ინტერვენციონისტული ჯარების შემადგენლობაში იბრძოდა სამხრეთვიეტნამელ პატრიოტთა წინააღმდეგ.

უპასუხა რა კორესპონდენტთა კითხვებზე ამერიკის შეერთებული შტატების საშინაო პრობლემების შესახებ, ჯონსონმა განაცხადა, რომ თანახმაა მიიღოს კონგრესის მოთხოვნა და შეამციროს ფედერალური ბიუჯეტის გასავალი 6 მილიარდი დოლარით. სამაგიეროდ კი გაადიდოს საშემოსავლო გადასახადი 10 პროცენტით, ამასთანავე ხაზი გაუსვა, რომ ეს შემცირება არ შეეხება ვიეტნამის ომის ხარჯებს.

ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ

● **პარიზი**, 31 მაისი. (საკდესი). შრომის საყოველთაო კონფედერაციამ გამოაქვეყნა განცხადება საფრანგეთის პრეზიდენტის დე გოლის გუშინდელი გამოსვლის გამო.

„სახელმწიფოს მეთაური, — ნათქვამია განცხადებაში, — ემუქრება მშრომელებს, რომლებიც იბრძვიან თავიანთ მოთხოვნათა დაკმაყოფილებისათვის და რომლებიც 10 წლის მანძილზე აწყდებიან რეაქციული რეჟიმის ქედმაღლობასა და მეწარმეთა შეურიგებლობას“.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ პრეზიდენტი იყენებს ანტიკომუნიზმის ლოზუნგს დემოკრატთა გათიშვის, მუშათა კლასის ძალების შესუსტების მიზნით.

● **ლონდონი**, 31 მაისი. (საკდესი). ინგლისის პარლამენტში გაკაკრიტიკეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ მიიღო დეკლარაცია ბავშვის უფლებების თაობაზე. იგი ითვალისწინებს უფლებებსა და გარანტიებს, რომლებიც უნდა გავრცელდეს უკლებლივ ყველა ბავშვზე. სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ ეს მნიშვნელოვანი დოკუმენტი პრაქტიკულ ხორცშესხმას ვერ პოულობს კაპიტალისტური სამყაროს, ბევრ ქვეყანაში, სადაც ბავშვები დაცული არ არიან მძიმე დავადებებისა და ნაადრევი სიკვდილისაგან. შიმშილი და უიმედო გაჭირვება მათი მუდმივი თანამგზავრია.

დეკლარაციაში, მაგალითად, ნათქვამია, რომ ბავშვები „სარგებლებენ სპეციალური დაცვით და ექნებათ აუცილებელი პირობები იმისათვის, რომ ნორმალურად განვითარდნენ ფიზიკურად, გონებრივად, ზნეობრივად, სულიერად“. მაგრამ ამაზე არავინ ზრუნავს „თავისუფალ სამყაროში“, განსაკუთრებით კი ლათინური ამერიკის ქვეყნებში, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატების მონოპოლიებისათვის დიდი ბიზნესის ობიექტებს წარმოადგენენ.

ამას წინათ ეკვადორის ქალაქ გუაიაკილში გასაოცარი ამბავი მოხდა. ადგილობრივი საპყრობილის ოფიციალური სტატისტიკის თანახმად ეკვადორის ქალაქებში ყოველი მეათე ბავშვი კვდება ისე, რომ ერთი წლის ასაკსაც ვერ აღწევს, ხოლო სოფლად მათი აღრიცხვაც კი შეუძლებელი ხდება.

ბავშვთა უმწეო მდგომარეობას ბრაზილიაში კარგად ახასიათებს დეპუტატ ანდრადა ლიმა ფილიოს განცხადება, რომელიც მან ბრაზილიის პარლამენტში გააკეთა: „როდესაც ბავშვი კვდება, გლეხები ღმერთს მადლობას სწირავენ, იმიტომ რომ მას მტანჯველი შიმშილის განცდა აღარ მოუწევსო“.

„ხშირად ჩვენი ბავშვები გარეგნულად ჯანმრთელს ჰგვანან. მათ მრგვალი, თითქოს შესუქებული, მთვარესავით სახე აქვთ. მაგრამ ეს მოჩვენებითი შთაბეჭდილებაა. მათი სახეები, ისევე როგორც ხელ-ფეხი, მუდმივი შიმშილისგან შეშუპებულია. თმა გაიშვიათებული აქვთ. კანი, თვალები და ცხვირი უჩირქდებათ. ბავშვის ორგანიზმი სავსეა წყლით, რაც პროტეინების, ვიტამინებისა და მინერალების ნაკლებობით არის გამოწვეული“, —ასე აღწერს პერუს ეურნალი „კარეტასი“ ინკების ქვეყნის ბავშვებს.

კონტინენტზე ბავშვთა უჩვეულო დიდი სიკვდილიანობა აიხსნება უკიდურესი ჩამორჩენილობით ჯანმრთელობის დაცვის საქმეში.

ლათინური ამერიკის ბევრ ქვეყანაში ექიმპედიატრების მწვავე ნაკლებობაა. ბრაზილიის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა რაიმუნდო დე ბრიტომ, მაგალითად, ბრაზილიას უწოდა „ქვეყანა — ჰოსპიტალი... უჰოსპიტალოდ“ — იმდენად ბევრია აქ ავადმყოფი და ისე ცოტა — ექიმი და საავადმყოფო.

კონტინენტის ცხრა ქვეყანაში 7-9 წლის ასაკის ბავშვთა მხოლოდ 64 პროცენტი სწავლობს ორი ათასმა პატიმარმა აღსაზრდელად აიყვანა ობოლი გოგონა, რომელსაც ავადმყოფობისა და შიმშილისაგან დაღუპვა ელოდა. პატიმრები ბავშვს უყოფდნენ თავიანთ ულუფასა და მეცირედენ ფულს პატიმრის „სახსრებიდან“.

ეს ფაქტი, რა თქმა უნდა, ტიპიური არ არის. სამაგიეროდ კონტინენტის ქვეყნების სასაფლაოებისათვის ტიპიურია ერთ მეტრამდე სიგრძის საფლავები, სადაც შიმშილისა და ავადმყოფობისაგან მილიონობით გარდაცვლილი ბავშვი განისვენებს.

იყიდება... ბავშვები

ᲘᲡᲘᲜᲘ ᲗᲣᲘᲔᲠᲜᲘ ᲓᲐᲘᲒᲐᲓᲜᲔᲜ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲙᲠᲔᲖᲘᲡ ᲘᲫᲣᲚᲔᲑᲘᲗᲘ ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲐ

ამერიკის შეერთებული შტატების სამხრეთ-დასავლეთში მცხოვრებ ინდიელთა ნაგვახს ტომის ერთი წლის ბავშვი ქრონიკული შიმშილობის გამო საშუალოდ 2 კილოგრამზე ცოტა მეტს იწონის. მისისიპის შტატის სასოფლო რაიონებში ბავშვები მხოლოდ სალათით, მწვანილითა და ჩურით იკვებებიან. ნიუ-იორკის ზანგთა გეტოების შეშფოთებულ ჟურნალისტებს ბავშვებს ვირთხები კბენენ.

ეს მკაცრი რეალობაა, რომელსაც აპიარებენ ამერიკელი სისტემის ისეთი ბურჯნი, როგორიცაა „კოლამბია ბროდკასტინგ სისტემის“ რადიომაუწყებლობის კორპორაცია და გაზეთები „ვაშინგტონ პოსტი“ და „ნიუ-იორკ ტაიმსი“.

წაიდა ის დრო, როცა შეერთებული შტატების პროპაგანდისტულ მანქანას შეეძლო დაემალა სიმართლე ამერიკელი ბავშვების გადაგვარებული მდგომარეობისა და ამერიკის შეერთებულ შტატებში შიმშილის შესახებ. როცა ყვავოდნენ არაას „ცხოვრების ამერიკული წესის“ შესახებ.

მაინც რამდენი ბავშვი შიმშილობს შეერთებულ შტატებში? ციფრობრივი მონაცემები ამ საკითხზე სხვადასხვაა, რადგან ამერიკაში არ ხდება მშიერი ბავშვების აღწერა. ასეა თუ ისე, მათი რიცხვი მილიონებს შეადგენს.

ამ თვეში გაზეთმა „ვაშინგტონ პოსტმა“ გამოაქვეყნა დიდი სტატია, რომელშიც აღწერილია ალაბამის შტატის ლაუნდსის საარაფოს ზოგიერთი მცხოვრების უმწეო მდგომარეობა. ექიმი პედიატრი ალან მერმანი, რომელიც დაკავშირებულია იელის უნივერსიტეტთან, მოგვითხრობს, თუ როგორ შიმშილობენ ამერიკის ამ რაიონში ზანგი ბავშვები. იგი, კერძოდ, წერს: „პირველად ენახე ბავშვები, რომლებიც კლასში შესვლისთანავე იძინებდნენო“.

როგორც ერთ-ერთმა სამედიცინო კომისიამ აღმოაჩინა, ბევრი ბავშვი შიმშილობს მისისიპის შტატშიც, განსაკუთრებით ეს შეეხება ზანგ ბავშვებს. თავის მოხსენებაში კომისია წერს, რომ აღმოაჩინა „ჯიბის მწვავე ნაკლებობის აშკარა ნიშნები“ ყოველ საარაფოში, სადაც კი კომისიის წევრები იყვნენ. „ეს ბავშვები — აღნიშნავენ ექიმები, — მთავრობისაგან საზრდოს არ იღებენ: მოკლებული არიან სამედიცინო მომსახურებას... ბავშვების ცხოვრების პირობები იმდენად შორსაა ყოველგვარი ცივილიზაციისაგან, რომ ზოგჯერ ეჭვი გვებადებოდა კიდეც: ნუთუ მართლა მე-20 საუკუნის ამერიკელ ბავშვთა მდგომარეობას ვიკვლევთ?“

ზეშოთ თქმულს ადასტურებს, კერძოდ, ამერიკელი პუბლიცისტის რობერტ შერილის სიტყვები. გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსში“ დაბეჭდილ სტატიაში იგი შემდეგნაირად აღწერს ზოგიერთი ადამიანის ცხოვრების პირობებს მისისიპის შტატში:

„მეიხდედთ რომელ კოხეზე ბნეგავთ: ეს კოხები ერთმანეთს ჰგავს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მათ მცხოვრებთა რიცხვს. კი, გაგალითად, დედა და ექვსი შვილი — მდინარე მისისიპის ნაპირებზე ვაშინგტონის საბარაზოს მცხოვრებლები. ოთხ ბავშვს იატაკზე ძინავს. ისინი არათუ ღამეს, ღღის უმეტეს ნაწილსაც კოლეს ატარებენ, მათი ტუჩები და ფეხები დაფარულია ირბიით... არის დღეები, როცა საერთოდ არაფერი აქვთ საჭმელი.

მაგრამ სრულებითაც არ არის საჭირო ამ შორს გავიმგზავროთ, რათა ნახოთ, თუ როგორ შიმშილობენ ბავშვები ამერიკაში. ვირჯინიის შტატის ლაუდონის საკრაფოში, რომელიც ვაშინგტონიდან მანქანით ერთ საათზე ნაკლებ სავალზეა, აღმართულია ვაშინგტონის ადმინისტრაციის ბევრი „ბურჯის“ შესანიშნავი სახლები, მათ შორის სენატორ ედვერტ დირქსენის რეზიდენცია. მაგრამ, როგორც „კოლამბია ბროდკასტინგ სისტემამ“ აღოიარა სპეციალურ რადიოგადაცემაში, რომელსაც ეწოდებოდა „შიმშილი ამერიკაში“, ამავე საკრაფოში არის ღარიბთა ათასობით უბადრუკი ხე, სადაც თავი შეუფარებიათ გადგატკიბულ მეიჯარე ფერმერებსა და მათ მშიერ შვილებს.

როგორც ამერიკის პრესა და ტელევიზია აღიარებენ, შიმშილი ზანგთა, ფუერტორიკოელთა და მექსიკელთა მთელ ამერიკაში გაბნეული გეტოების ბავშვთა ნამდვილი უბედურებაა. გაზეთ „ვაშინგტონ პოსტის“ სიტყვებით რომ ვთქვათ, „მილიონობით ბავშვი შეერთებულ შტატებში „უკვე მშიერი იბადება“ და მთელი სიცოცხლის მანძილზე შიმშილობს“.

ჰარი ფრიმენი.

ნიუ-იორკი.

კომუნისტი

მე-3 გვერდი, შაბათი, 1 ივნისი, 1968 წ.

ᲔᲡᲔᲪ ᲨᲕᲔᲓᲠᲘᲙᲣᲚᲘ „ᲡᲐᲛᲝᲗᲮᲔ“!

თითქმის მეათე წელია, რაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ მიიღო დეკლარაცია ბავშვის უფლებების თაობაზე. იგი ითვალისწინებს უფლებებსა და გარანტიებს, რომლებიც უნდა გავრცელდეს უკლებლივ ყველა ბავშვზე. სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ ეს მნიშვნელოვანი დოკუმენტი პრაქტიკულ ხორცშესხმას ვერ პოულობს კაპიტალისტური სამყაროს, ბევრ ქვეყანაში, სადაც ბავშვები დაცული არ არიან მძიმე დავადებებისა და ნაადრევი სიკვდილისაგან. შიმშილი და უიმედო გაჭირვება მათი მუდმივი თანამგზავრია.

დეკლარაციაში, მაგალითად, ნათქვამია, რომ ბავშვები „სარგებლებენ სპეციალური დაცვით და ექნებათ აუცილებელი პირობები იმისათვის, რომ ნორმალურად განვითარდნენ ფიზიკურად, გონებრივად, ზნეობრივად, სულიერად“. მაგრამ ამაზე არავინ ზრუნავს „თავისუფალ სამყაროში“, განსაკუთრებით კი ლათინური ამერიკის ქვეყნებში, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატების მონოპოლიებისათვის დიდი ბიზნესის ობიექტებს წარმოადგენენ.

ამას წინათ ეკვადორის ქალაქ გუაიაკილში გასაოცარი ამბავი მოხდა. ადგილობრივი საპყრობილის ოფიციალური სტატისტიკის თანახმად ეკვადორის ქალაქებში ყოველი მეათე ბავშვი კვდება ისე, რომ ერთი წლის ასაკსაც ვერ აღწევს, ხოლო სოფლად მათი აღრიცხვაც კი შეუძლებელი ხდება.

ბავშვთა უმწეო მდგომარეობას ბრაზილიაში კარგად ახასიათებს დეპუტატ ანდრადა ლიმა ფილიოს განცხადება, რომელიც მან ბრაზილიის პარლამენტში გააკეთა: „როდესაც ბავშვი კვდება, გლეხები ღმერთს მადლობას სწირავენ, იმიტომ რომ მას მტანჯველი შიმშილის განცდა აღარ მოუწევსო“.

„ხშირად ჩვენი ბავშვები გარეგნულად ჯანმრთელს ჰგვანან. მათ მრგვალი, თითქოს შესუქებული, მთვარესავით სახე აქვთ. მაგრამ ეს მოჩვენებითი შთაბეჭდილებაა. მათი სახეები, ისევე როგორც ხელ-ფეხი, მუდმივი შიმშილისგან შეშუპებულია. თმა გაიშვიათებული აქვთ. კანი, თვალები და ცხვირი უჩირქდებათ. ბავშვის ორგანიზმი სავსეა წყლით, რაც პროტეინების, ვიტამინებისა და მინერალების ნაკლებობით არის გამოწვეული“, —ასე აღწერს პერუს ეურნალი „კარეტასი“ ინკების ქვეყნის ბავშვებს.

კონტინენტზე ბავშვთა უჩვეულო დიდი სიკვდილიანობა აიხსნება უკიდურესი ჩამორჩენილობით ჯანმრთელობის დაცვის საქმეში.

ლათინური ამერიკის ბევრ ქვეყანაში ექიმპედიატრების მწვავე ნაკლებობაა. ბრაზილიის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა რაიმუნდო დე ბრიტომ, მაგალითად, ბრაზილიას უწოდა „ქვეყანა — ჰოსპიტალი... უჰოსპიტალოდ“ — იმდენად ბევრია აქ ავადმყოფი და ისე ცოტა — ექიმი და საავადმყოფო.

კონტინენტის ცხრა ქვეყანაში 7-9 წლის ასაკის ბავშვთა მხოლოდ 64 პროცენტი სწავლობს

ᲛᲝᲜᲚᲘᲚᲔᲗᲘ ● ● ᲰᲝᲜᲙᲝᲜᲒᲘ

ᲝᲠᲘ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝ, ᲝᲠᲘ ᲪᲕᲔᲓᲠᲘ

მონლილეთის სახალხო რესპუბლიკის ბავშვები ყურადღებითა და მზრუნველობით არიან გარემოსილი. ყოველწლიურად რესპუბლიკაში იზრდება სკოლების, საბავშვო ბაღებისა და ბაგების რიცხვი.

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: ხატვის გაკვეთილი ულან-ბატორის ერთ-ერთ საბავშვო ბაღში.

ფოტო მონცამე-საკდესისა.

ᲰᲝᲜᲙᲝᲜᲒᲘ. დილიდან დაღამებამდე ეს უმწეო ბავშვები პატარა ნავით საოკეანო ხომალდებს ელოდებიან, რათა მგზავრებს მოწყალება სთხოვონ.

ფოტო პრეს-ბილდ-საკდესისა.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

მე-3 გვერდი, შაბათი, 1 ივნისი, 1968 წ.

გაზეთი

სტუმრად გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზე

პირველი ივნისი ბავშვთა საერთაშორისო დაცვის დღეა! მთელი პროგრესული კაცობრიობა აღნიშნავს ამ შესანიშნავ თარიღს — ნორჩი თაობის საამყაროს გაზაფხულის, იმედისა და მომავლის საერთაშორისო დაცვის დღეს.

ჩვენს ქვეყანაში ყველა ბავშვს დამკვიდრებული აქვს ბედნიერი ამქვეყნიერი, კიდევ უკეთესი მომავალი.

ბავშვთა საერთაშორისო დღის აღსანიშნავად ჩვენს რედაქციას ეწვია თბილისის პიონერთა რესპუბლიკური საბავშვო გაზეთი „გაზაფხული“.

აი რას გვიამბობენ ამ გაზეთის ბავშვკორები.

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს — 1 ივნისს გაზეთ „კომუნისტს“ უჩვეულო სტუმრები ჰყავს. მეთხუთმეტს თავიანთ მუშაობას გაეცნობენ და თანატოლებს მიეხალმებიან ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის გაზეთის — „გაზაფხულის“ ნორჩი კორესპონდენტები.

პიონერთა სასახლეში აქტივისტები შეკრებილან, სიხარულს ვეღარ მალავენ. სასახლის გაზეთისათვის სახელი უნდა შეარჩიონ. ნათლად წარმოიდგინონ გაზეთის მიზანი და ამოცანები. ბევრი იკამათეს, იმსჯელეს. ბოლოს გადაწყვიტეს „გაზაფხული“ ეწოდებინათ. პირველ მასალებზე მუშაობა, ლექსის თუ მოთხრობის დასაბეჭდად მომზადება რთული, მაგრამ საინტერესო და სახალისო იყო მათთვის. ასე გამოვიდა თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის გაზეთის „გაზაფხულის“ პირველი ნომერი.

მას შემდეგ ათი წელი გავიდა. გაზეთის ყოველი ახალი ნომრის გამოსვლას ახალი სიხარული მოჰქონდა ბავშვებისათვის, გამოცდილებას მატებდა ბავშკორებს, იზრდებოდა მათი რიცხვი. რედაქციის მუშაკთა ვალი იყო მათი მოზიდვა და აღზრდა.

ნორჩ კორესპონდენტთა თვალი ყველგან სწვდება, ყველაფერს ხედავს, სწრაფად შემოირბენენ სასახლის კაბინეტ-ლაბორატორიებს, დარბაზებსა და დეპარტამენტებს. კარგთან ერთად ცუდსაც შენიშნავენ. ახალ-ახალი მასალები მოაქვთ, ლექსებსა და მოთხრობებს, საინტერესო გასართობებს გვთავაზობენ, შემდეგ კი მოუთმენლად ელიან გაზეთის გამოსვლას. დიდია პირველი მასალის დაბეჭდვით გამოწვეული ბავშვური სიხარული.

გაზეთი ესაუბრება პატარებს კულტურული ქცევის წესებზე, შრომის დიდ მნიშვნელობაზე, გამრჯე, მოწინავე ადამიანებზე. გაზეთმა გამოაცხადა ლაშქრობა დევნიზით — „არ დავკარგოთ არც ერთი წუთი!“

„რა მოხდა, ერთი წუთით დავიგვიანე!, — რამდენს დაგიმშვდებიათ თავი ამ სიტყვებით და არც კი გიფიქრიათ წუთის დიდ მნიშვნელობაზე“ — წაიკითხეს ერთხელ „გაზაფხულის“ ფურცლებზე ბავშვებმა. მრავალი სკოლის პიონერულმა რაზმებმა ჩაატარეს რაზმის შეკრებები, ეწვივნენ საწარმოებს, საკუთარი თვალით ნახეს ერთ წუთში რამდენ დოვლათს ქმნის გამრჯე ხელები.

„თქვენ როგორ ფიქრობთ?“, „მოდი ვიკამათოთ გულახდილად!“ —დისპუტს მართავენ პატარები.

„ყველაფერი ერთის შესახებ და ცოტა რამ ყველაფერზე“ — საინტერესო კამათი გაშალეს „გაზაფხულის“ ფურცლებზე დიდების ა. კასრაძის, ლ. მაჩაბლის, ნ. ხუციშვილის, ი. მარშანიას ხელმძღვანელობით მოამზადეს ნორჩმა კორესპონდენტებმა: თემურ კოვლაძემ, ზვიად ხაჭაპურიძემ, დათო ბალაშვილმა, უშანგ ბეგიაშვილმა, ზაზა კეკელიძემ, ნინო არსენიშვილმა, თინა ხორბალაძემ, აკაკი ქურდაძემ, ლალი გოგოლაძემ და სხვებმა.

გამოვიდა გაზეთის ახალი ნომერი, მაგრამ მუშაობა აქ როდი მთავრდება. მოდიან მოხალისე „ფოსტალიონები“ სკოლებიდან და იმავე დღეს მათი საყვარელი სკოლის პიონერთა ოთახში ჩნდება „გაზაფხული“. შემდეგ ამზადებენ ბანდეროლებს, მიაქვთ ფოსტაში, „გაზაფხული“ მიფრინავს რესპუბლიკის ყველა პიონერთა და მოსწავლეთა სახლში, სკოლაში.

ამ დღეებში „გაზაფხულის“ რედაქცია სტუმრებს ვეღარ აუდის. მოდიან ყოფილი აღსაზრდელები, მათ მოაქვთ თავიანთი წარმატებები და კეთილი სურვილები, იუბილარს ულოცავენ დაბადების 10 წლისთავს.

ზეიმია სასახლეში — ნორჩ შემოქმედთა ზეიმი, „გაზაფხულის“ ზეიმი.

„გაზაფხულის“ ათი წლის იუბილე ბედნიერად დაემთხვა ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს, რომელსაც ზეიმით აღნიშნავენ ჩვენი სამშობლოსა და იმ ქვეყნების ბავშვები, რომლებსაც თავისუფლების მზე დანათის და ათბობს.

ამგვარსა და ზრუნვისათვის ისინი ერთხმად ეტყვიან სამშობლოს: მადლობა შენ, ჩვენი ბედნიერი ბავშვობისათვის, დაულეველი სიხარულისათვის.

როზა ირემაშვილი.
„გაზაფხულის“ რედაქტორი.

ასე, მხიარული ყიჟინით აღნიშნეს „სასწავლო წლის“ დამთავრება თბილისის 47-ე საბავშვო ბაღის აღზრდილებმა.
ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარების მოამბე

ნორჩ შემოქმედთა ღიმილი

ოქროს ვაშლი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი მეფე. მან თქვა: „ის, ვინც იტყვის ყველაზე დიდ ტყუილს, მიიღებს ოქროს ვაშლს“. ხალხი მიდიოდა მასთან, ამბობდნენ ტყუილს, მაგრამ მეფე უპასუხებდა: ყოველივე ეს ძალიან კარგია, მაგრამ ამის დაჯერება შეიძლება!“.

ერთ დღეს მეფესთან ერთი კაცი მივიდა და უთხრა: — ო, მეფეო! დამიბრუნე ჩემი ოქრო.

— რომელი ოქრო? — შეეკითხა მეფე.

— ოქრო, რომელიც თქვენ ჩემგან წაიღეთ წინა კვირას!

— მე შენგან არავითარი ოქრო არ წამიღია. ეს ტყუილია, — იყვირა მეფემ.

— თუ ეს ტყუილია, მაშინ მომეცით ოქროს ვაშლი, — უთხრა კაცმა.

მეფემ უპასუხა:

— ო, მართლა, ახლა გამახსენდა, ერთი კვირის წინათ ოქრო მომეცი.

— ძალიან კარგი, მაშინ დამიბრუნე ჩემი ოქრო, — უთხრა კაცმა.

მეფეს სხვა გამოსავალი არა ჰქონდა, მან ჭკვიან კაცს მისცა ოქროს ვაშლი.

ინგლისურიდან თარგმნა
ზვიად ხაჭაპურიძემ,
ნპ-ე საშუალო სკოლის V კლასის მოსწავლე.

მხიარული დიალოგები

გამოსაცანი მონაცა

დედა. გატიბუტი გამიკეთე, რა!

— სიმინდი ალარა გვაქვს, გენაცვალე!

— მაშ იხვიბუტი გამიკეთე!

ზუსტი კასუხი

— სად ცხოვრობ, გოგონა?

— ჩემს სახლში.

იცოდა ნახევარი და მთელი

— მაია, ნახე, რომელი საათია?

— მაია, რას აკეთებ მანდ, რატომ პასუხი არ მოგაქვს? — გასძახა დედამ.

გოგონა არ ჩანდა.

— მაია, გიცდი, მიპასუხე! — კვლავ შეეხმიანა დედა.

— ისარი ჯერ ნახევარზე არ მისულა, ვუცდი! — ცრემლნარევი ხმით თქვა მაიამ.

მაია მიაბრიშვილი.

ეეტაკ ვინ აწყენინა?!

ნანა, შვილო...

ფოტოტიპიდან
შ. თათარიშვილისა,
ილ. ბაქმისა და ი. ქურაშვილისა.

ბავშვები ჩვენს ირგვლივ

ნაპირ-ნაპირ

პიონერული ტყე-პარკი

ახმეტა. (საკ. კორ.). უსახელო ბორცვი, რომელიც სოფელ მატანს დარაჯივით დასდგომია თავს, პირველად შარშან ამბაურდა. 630 მოსწავლემ აქ 630 ნერგი ახარა. ნორჩმა ლენინელებმა ილიჩის ხსოვნის აღსანიშნავად ტყე-პარკს წელს კიდევ მიუმატეს 300 ნერგი და მთას „პიონერის ბორცვი“ შეარქვეს.

გრძოლა სტიქიასთან

ქუთაისი. (საკ. კორ.). ოლქიდ კომპლექსური სასოფლო-სამეურნეო საცდელი სადგურის საცდელ-პერიმენტო ბაზა ერთი კილომეტრის მანძილზე მიჰყვება მდინარე რიონის ნაპირებს. თბილი ამინდების გამო მდინარე რიონის მოულოდნელმა მატებამ საფრთხე შეუქმნა საცდელ ნაკვეთებს, სადაც მრავალ ძვირფას სუბტროპიკულ მცენარეთა პლანტაციებია გაშენებული, მას შეეძლო დიდი მატერიალური ზარალი მიეყენებინა ამ ახლად ჩამოყალიბებული მეურნეობისათვის. ტრაქტორისტებმა გრიგოლ ჩიქოვანმა და ნიკოლოზ ძიუბამ სასწრაფოდ შეაკეთეს ბულდოზერით რიონის გასწვრივ ნაპირები ერთ კილომეტრზე.

მამაცი მექანიზატორები სამი დღის განმავლობაში ფიზიზლად ებრძოდნენ მოვარდნილ სტიქიას. წყალდიდობის საფრთხე ტრაქტორისტების ჩიქოვანისა და ძიუბას ენერგიული შრომის შედეგად აცილებულ იქნა. მათს მუშაობას დიდად შეუწყეს ხელი ინჟინერ-მექანიზატორმა გ. კვიციანაძემ, აგრონომებმა ს. ბარამიძემ, ნ. ბუკიამ, ნაკვეთის გამგემ ო. ქობოლავამ და ბ. თარქიამ.

ი. ლეკვეიშვილი.
კოლხიდის კომპლექსური საცდელი სადგურის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში.

გულადი და საზრიანი

ეს ამბავი ახლახან მოხდა. სოფელ დულუზაურებში, საკოლმეურნეო საწყობის ახლოს, მიწაში ჩადგმულ საწვავის ცისტერნასთან იდგნენ ავტომანქანები და თავის რიგს ელოდნენ... იქვე ბავშვები თამაშობდნენ. ერთმა მათგანმა ასანთი აანთო ორტონახეოვრიან ცისტერნასთან. მოულოდნელად მანქანის სახურავიდან ალი და შავი კვამლი ავარდა. ყველა შეშფოთდა და დაიბნა... იქვე იდგა არტნის კოლმეურნეობის მექანიზატორთა ბრიგადის ხელმძღვანელი სანდრო ჯიმშიტაშვილი. მან თვალისდახამხამებაში პალტო გაიძრო, წყალში ამოავლო და ცეცხლის კერას გადაეფარა, მალე შთაინთქა ალიც და კვამლიც, ყველამ შვებით ამოისუნთქა.

სანდრო ჯიმშიტაშვილის თავგანწირვა და გულადობა შემთხვევითი როდია. მას სოფელში იცნობენ როგორც გამრჯე, საზრიან ვაჟკაცს.

ამის შესახებ იუწყება რაიონული გაზეთი „ახალი თაობეთი“.

სპორტი

ათი მატჩი ერთ დღეს

პირველი ივნისი საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის დღეა. ასპარეზობაში მონაწილეობას მიიღებს უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა ოცივე კოლექტივი, შედგება ათი შეხვედრა.

ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებს **თბილისის „დინამოსა“** და **ქუთაისის „ტორპედოს** თამაშები აქვთ ტაშკენტში „პახტაკორთან“ და დონეცკში „შახტიორთან“.

ს